პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

ოთხშაბათი,
16
ივნისი
1937 წ.
№ 136 (4937)

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკ-ის ორგანო

დ ღ ე ს   გ ა ზ ე თ შ ი ა

— კომკავშირს—მტკიცე პარტიული ხელმძღვანელობა (მოწინავე)
— სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესახებ
— რკინიგზელები სთხოვენ მთავრობას გამოუშვას სსრ კავშირის თავდაცვის სესხი
— დაზვერვა და კონტრდაზვერვა (ფელეტონი)
— ნ. კრუშკოლი — საბჭოების სრულიად-საკავშირო ... ყრილობა (ფელეტონი)

უცხოეთში:

— ესპანეთის ფრონტებზე
— აგირეს მიმართვა
— დე ბრუკერის რადიოგრამა ამხ. დიმიტროვს.
— ამხ. დიმიტროვის პასუხი დე ბრუკერს

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

იმ მიზნით, რომ უკეთ მოეწყოს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა და ფართოდ გაიშალოს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმების, აგრეთვე სოფლის მეურნეობის მოწინავეთა და ორგანიზატორთა სოციალისტური შეჯიბრება სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის უფლებისათვის, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი **ადგენენ:**

1. სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნა გადატანილ იქნას 1938 წლის 1 აგვისტოსათვის.

2. დამტკიცდეს საგამოფენო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი დადგენილება „სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმების, აგრეთვე სოფლის მეურნეობის მოწინავეთა და ორგანიზატორთა მონაწილეობის პირობების შესახებ".

3. დაევალოს სსრ კავშირის მიწსახკომს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს ამა წლის 20 ივნისისათვის საგამოფენო კომიტეტს დასამტკიცებლად წარუდგინონ სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის უფლების მაჩვენებლები სოფლის მეურნეობის იმ დარგების მიხედვით, რომლებიც არ არიან ჩამოთვლილი საგამოფენო კომიტეტის ზემოაღნიშნულ დადგენილებაში.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე — ვ. მოლოტოვი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი — ი. სტალინი

მოსკოვი, კრემლი.
1937 წ. 14 ივნისი.

კომკავშირს — მტკიცე პარტიული ხელმძღვანელობა

ლენინურმა კომკავშირმა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარ ისტორიულ მობრუნებას ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობის ძირფესვიანად გარდაქმნით უნდა უპასუხოს.

ახლანდელ ვითარებაში, როცა ქვეყანა ახალი სტალინური კონსტიტუციით ცხოვრობს, როცა სახელმწიფოს ძირითადი კანონი დიდ გასაქანს აძლევს ჩვენი ქვეყნის მშრომელ ახალგაზრდობას — ფართო მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში, ლენინ-სტალინის პარტიის უახლოეს თანაშემწეს — კომკავშირს უდიდესი მუშაობა ჰმართებს ჩვენი ქვეყნის მრავალმილიონიანი მშრომელი ახალგაზრდობის პოლიტიკურად აღზრდისათვის.

ლენინური კომკავშირი ვერ შესძლებს ამ ფრიად სერიოზული ამოცანის დაძლევას, თუ დროზე არ აღმოფხვრა ორგანიზაციული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ის ნაკლოვანებანი, რაც ჯერჯერობით მის მუშაობას ახასიათებს.

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის III პლენუმმა სწორედ ამ ნაკლოვანებებზე შეაჩერა თავისი ყურადღება და დასახა პრაქტიკული გზები ახალი ვითარების შესაბამისად მუშაობის გარდაქმნისათვის.

პლენუმის გადაწყვეტილებებით ლენინური კომკავშირის პირველი რიგის ამოცანას შეადგენს ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდა, კომკავშირულ ორგანიზაციებში პროპაგანდისტული მუშაობის დაყენება, რომ თვითეული კომკავშირელი დაეუფლოს ბოლშევიზმს, გაამდიდროს თავისი ცოდნა მარქსისტულ-ლენინური თეორიით.

საქ. ალკკ ც. კ-ის III პლენუმი თავის დადგენილებებში კატეგორიულად მოითხოვს ლენინური კომკავშირის წესდების ყველა მოთხოვნათა დაცვას. პლენუმი ჰგმობს კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკაში დემოკრატიული ცენტრალიზმის დარღვევის ფაქტებს. მოითხოვს, რათა ალკკ წევრებს შეუზღუდველი უფლება მიეცეს აქტიური მონაწილეობა მიიღონ კომკავშირის ცხოვრებაში. პლენუმი თავის დადგენილებებში ჰკრძალავს არჩევნობის შეცვლას დანიშვნით და ისეთ შემთხვევებს, როცა ანგარიშგება ამომრჩევლების წინაშე უკუგდებულია და მივიწყებული.

საქართველოს ალკკ ორგანიზაციებშიც ირღვეოდა კომკავშირული წესდება, ფართოდ იყო გავრცელებული ხელმძღვანელ ორგანოებში კოოპტაციის შეუწყნარებელი პრაქტიკა, აქა-იქ უგულებელყოფილი იყო ანგარიშგება ამომრჩევლების წინაშე.

საქართველოს კომკავშირის ორგანიზაციის ცალკეულ რგოლებში არსებული დეფექტები და ნაკლოვანებანი სუსტი პარტიული ხელმძღვანელობით აიხსნება. სადაც სუსტია პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, სადაც ნაკლები ყურადღება ექცევა პროპაგანდისტულ და სააგიტაციო მუშაობას ახალგაზრდობის მასებში, სადაც უხეშად მახინჯდება კომკავშირის წესდება, იქ, უდავოა, პარტიული ხელმძღვანელობა ვერ სდგას სასურველ სიმაღლეზე.

სწორედ კომკავშირისადმი სუსტი პარტიული ხელმძღვანელობით უნდა აიხსნას შინასაკავშირო დემოკრატიის დამახინჯების ფაქტები თბილისის უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტის კომკავშირულ ორგანიზაციაში, სადაც კომკავშირის რაიკომის წარმომადგენლებმა უხეშად ადმინისტრირების წესით აიძულეს საერთო კრება მიეღო რაიკომის დადგენილება. ბაშკირეთის პარტრაიკომსა და სოხუმის ქალაქკომს უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ მათს კომკავშირულ ორგანიზაციებში ფართოდ მოიკიდა ფეხი დანიშვნის პრაქტიკამ.

სადაც პარტიული ორგანიზაციები სუსტად ხელმძღვანელობენ კომკავშირს, კმაყოფილდებიან შემთხვევიდან შემთხვევამდე მიმაგრებული ამხანაგების ანგარიშის მოსმენით, სადაც არ არის ნამდვილი პარტიული ხელმძღვანელობა, იქ საკავშირო მუშაობა ჩაშლილია. „სწორი არ იქნებოდა გვეფიქრნა, რომ ამ დიდ რთულ ამოცანებს თავს გაართმევს მარტო კომკავშირი. იმ ახალ გადიდებულ მოთხოვნებთან შეფარდებით, რომლებსაც კომკავშირს უყენებენ ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში, საჭიროა გარდავქმნათ კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობა. ჩვენი პარტიული ორგანიზაციები კიდევ უფრო მტკიცედ, უფრო მეტი გულისხმიერებით და ყურადღებით უნდა დაეხმარონ კომკავშირს ამ ამოცანის გადაჭრაში" (ლ. ბერია).

საქ. ალკკ ც. კ-ის III პლენუმის დადგენილებით, ა.-წ. 15 ივნისიდან 1 აგვისტომდე პირველადს ორგანიზაციებში ჩატარდება კომკავშირულ ორგანოთა ანგარიშები და არჩევნები, სარაიონო და საქალაქო კომკავშირულ ხელმძღვანელ ორგანოებში კი 1 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე. პლენუმის დადგენილებათა მიხედვით კომკავშირული ორგანოების არჩევნები მოხდება ახალი საარჩევნო სისტემით — ფარული კენჭისყრით. პარტიულმა ორგანიზაციებმა ბოლშევიკურად უნდა უხელმძღვანელონ კომკავშირულ ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კამპანიას. მათ უნდა გადასცენ ლენინურ კომკავშირს ის მდიდარი გამოცდილება, რომელიც შეიძინეს საქ. კ. პ. (ბ)-ში საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის ჩატარებისას.

პარტიული ორგანიზაციები არ უნდა დაკმაყოფილდნენ მიმაგრებული ამხანაგების გამოყოფით არჩევნების სახელმძღვანელოდ. ამ სერიოზული სამუშაოს მიმდინარეობის კურსში უნდა იყოს მთელი პარტიული ორგანიზაცია. საქ. ალკკ ც. კ-ის III პლენუმის დადგენილებათა ზუსტად დაცვისათვის პასუხისმგებელია არა მარტო კომკავშირი, არამედ ხელმძღვანელი პარტიული ორგანიზაცია.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა ბოლშევიკურად უნდა მოჰკიდონ ხელი კომკავშირის ხელმძღვანელობის საქმეს. კომკავშირული ორგანოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანია გამოყენებულ უნდა იქნას იმისათვის, რომ საქართველოს კომკავშირმა საფუძვლიანად გარდაჰქმნას თავისი მუშაობა, მოსპოს პოლიტიკური უდარდელობის ფაქტები, აამაღლოს რევოლუციური შეტევითი სიფხიზლე, უკეთ დაეუფლოს ლენინიზმისა და ჩვენი პარტიის ისტორიის შესწავლის საქმე, ზუსტად დაიცვას კომკავშირის წესდების ყველა მოთხოვნა, რათა საქართველოს კომკავშირის ორგანიზაცია საბჭოების მომავალ არჩევნებში სათავეში ჩაუდგეს მშრომელი ახალგაზრდობის პოლიტიკურ აქტივობას და შეამჭიდროვოს იგი ლენინ-სტალინის პარტიის, სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, საბჭოთა ხელისუფლების გარშემო

ესპანეთის ფრონტებზე

(საქ. დეპ. სააგენტოს ცნობებით)

ბისკაის ფრონტი

როგორც ესპანეთის თავდაცვის სამინისტრო იუწყება, მეამბოხენი არტილერიისა და მრავალი თვითმფრინავის დახმარებით კვლავ ძლიერად უტევენ ბილბაოს თავდაცვის ხაზებს და წინ მიიწევენ მთელ რიგ პუნქტებში.

„დეილი ტელეგრაფის" სპეციალური კორესპონდენტი ბილბაოდან იუწყება, რომ მეამბოხეთა ძალებმა, ემორჩილებიან რა გერმანიის გენერალური შტაბის განკარგულებას ბისკაის ფრონტზე, 13 ივნისს გააძლიერეს იერიშები ლარაბესუას სექტორში. გერმანიისა და იტალიის თვითმფრინავები, რომლებიც ბურგოსიდან, ვიტორიიდან და სან-სებასტიანიდან მოფრინდნენ, მთელი დღის განმავლობაში უშენდნენ ყუმბარებს ბილბაოს. ბევრია მოკლული. ბომბარდირებამ დიდი ზარალი გამოიწვია. ჰავასის სააგენტოს ცნობით, მეამბოხეთა თვითმფრინავები ტყვიამფრქვევებით ხვრეტდნენ სამოქალაქო მოსახლეობას, რომელიც თავშესაფარებისაკენ მიეშურებოდა.

როგორც „დეილი ტელეგრაფის" სპეციალური კორესპონდენტი იუწყება, საჰაერო იერიშებს ხელი შეუწყეს ახალმა ტანკებმა, რომლებმაც გზა გაუკაფეს ქვეითთა ჯარს. რესპუბლიკელებმა სანიმუშო წესრიგით დაიხიეს უკან თავდაცვის მეორე ხაზისკენ.

როგორც „დეილი ჰერალდის" სპეციალური კორესპონდენტი იუწყება, 13 ივნისს ნაშუადღევს ბილბაოში მიიღეს ცნობები ფრონტიდან, რომ ყველაზე უფრო საშიშ ადგილებში მეამბოხეთა იერიშები შეჩერებულია. „დეილი ჰერალდის" კორესპონდენტი ჰფიქრობს, რომ ბილბაოს ბომბარდირებაში მონაწილეობას იღებდა გერმანიისა და იტალიის 72 თვითმფრინავი.

არაგონიის ფრონტი

ესპანის სააგენტოს გადმოცემით, არაგონიის ფრონტზე სამხედრო მოქმედება წარმატებით ვითარდება. რესპუბლიკელები ინარჩუნებენ ინიციატივას. უესკიდან სარაგოსისაკენ მიმავალ გზაზე მეამბოხენი გააფთრებული ბრძოლის შემდეგ იძულებული იყვნენ 13 ივნისს დაეტოვებიათ პოზიციები, რომლებიც ამ გზას დაჰყურებენ. საღამოს მეამბოხეთა 5 ყუმბარმტყორცნი 3 ავიაგამანადგურებლის თანხლებით ცდილობდა ყუმბარები დაეშინა რესპუბლიკელთა პოზიციებისათვის უესკის სამხრეთ-დასავლეთით. მეამბოხეთა თვითმფრინავებმა სროლა აუტეხეს სოფელ აპიესსა და გრიესს (უესკის ჩრდილოეთით). ისინი ტყვიამფრქვევებით ჰხოცავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, უშენდნენ ჰოსპიტალსა და ამბულატორიას. 13 ივნისს, ნაშუადღევს, მეამბოხენი შეეცადნენ დაებრუნებინათ თავიანთი პოზიციები, რომლებიც რესპუბლიკელებმა უესკიდან ხაკისაკენ მიმავალ გზაზე დაიკავეს, მაგრამ მეამბოხეთა იერიში მოგერიებულ იქნა. მეამბოხეთა ავიაცია შეეცადა ყუმბარები დაეშინა რესპუბლიკელთა პოზიციებისათვის უესკის ჩრდილოეთით, მაგრამ რაკი შეამჩნია რესპუბლიკელთა თვითმფრინავების ესკადრილია, თავი აარიდა ბრძოლას და გაიქცა.

თავდაცვის სამინისტროს ცნობით, არაგონიის ფრონტის პირინეის სექტორში რესპუბლიკელთა ჯარებმა დაიკავეს მთელი რიგი პუნქტები.

ტერუელის სექტორში რესპუბლიკელთა ნაწილებმა წარმატებით ჩაატარეს რეიდი მეამბოხეთა ზურგში, [illegible]ელის მიდამოებში. რესპუბლიკელებმა ამასთან შესძლეს გაენთავისუფლებიათ 23 ტყვე.

ცენტრალური ფრონტი

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობის თანახმად, მეამბოხეთა არტილერია 13 ივნისს ყუმბარებს უშენდა მადრიდს. არის მსხვერპლი. ქალაქი დაზიანდა.

13 ივნისს დილით ძლიერი აფეთქება მოხდა კაზა დელ კამპოს სექტორში. განადგურებულია მეამბოხეთა თოფისწამლის საწყობი.

მდინარე ტახოს სამხრეთ სექტორში რესპუბლიკელებმა დაიკავეს სალამეას კოშკი. მტერი უშედეგოდ ცდილობდა უკან დაებრუნებინა ეს კოშკი.

აგირეს მიმართვა

პარიზი, 14 ივნისი (საქდესი). ესპანის სააგენტო დაწვრილებით გადმოგვცემს ბასკთა ქვეყნის მეთაურის აგირეს მიმართვის შინაარსს ევროპისა და ამერიკის მთელი რიგი ქვეყნების მთავრობებისადმი.

„75 დღის განმავლობაში, — ნათქვამია მიმართვაში, — გერმანიისა და იტალიის ასზე მეტი თვითმფრინავი, დაქირავებულ მაროკოელ ჯარისკაცთა ჯგუფებისა და ამ ორი ქვეყნის რეგულარული ჯარების დახმარებით, მძვინვარებს და ანადგურებს ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს, ჰჟლეტს მათს მოსახლეობას.

ბასკი ხალხი უხსოვარი დროიდან განირჩეოდა თავისი სიყვარულით მშვიდობიანობისა და შრომისადმი, წარმოადგენდა რა მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს დემოკრატიას; ბასკი ხალხი მწუხარებით უცქერის იმ სახელმწიფოთა პოზიციებს, რომლებიც თავისთავს ცივილიზებულ სახელმწიფოებად სთვლიან, მაგრამ თითქოს მონაწილეობას ღებულობენ შეთქმულებაში შეიარაღებულ მეამბოხეებთან, რომლებიც იბრძვიან იმათ წინააღმდეგ, ვინც იცავს საუკუნოებრივ დემოკრატიას, იცავს საკუთარ უფლებასა და თავისუფლებას, თავის ზნე-ჩვეულებებსა და თავის ენას. ეს მეამბოხენი ყოველ დღე სულ უფროდაუფრო მეტი გააფთრებით განაგრძობენ ქალაქებისა და სოფლების განადგურებას, ქალებისა და ბავშვების ხვრეტას, მღვდლების ხვრეტას, ქალების გაუპატიურებას, იმათ დამწყვდევას საპყრობილეში, ვინც თავის ძველ ენაზე ლაპარაკობს, როგორც ამას გვიჩვენებს სან-სებასტიანის გუბერნატორის მიერ ამას წინათ გამოცემული დეკრეტები. ისინი ბარბაროსულად უშენენ ყუმბარებს სასაფლაოს ბილბაოში და ცდილობენ თვით ბილბაო სასაფლაოდ აქციონ. მე მივმართავ ეგრეთწოდებულ ცივილიზებულ მსოფლიოს კითხვით: რა მიზანს ისახავენ ასეთი დანაშაულობანი?".

აგირე მოითხოვს, აცილებულ იქნეს თავიდან „საშინელი უსამართლობა, რანაირიც კი ქვეყანაზე გაგონილა".

ამხ. დიუკლო საფრანგეთის ფინანსური მდგომარეობის შესახებ

პარიზი, 14 ივნისი (საქდესი). დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის ამხანაგი და პალატის საფინანსო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგი, კომუნისტი დეპუტატი დიუკლო დღეს „ლუმანიტეში" გამოვიდა სტატიით, რომელიც შეეხება საფრანგეთის ფინანსურ მდგომარეობას.

წინააღმდეგ რეაქციული პრესის მტკიცებისა, დიუკლო ფიქრობს, რომ ის ფინანსური სიძნელეები, რომლებსაც ახლა საფრანგეთი განიცდის, დროებითი ხასიათისაა და გამოწვეულია მსხვილი კაპიტალისტების მანევრებით, რომელნიც ცდილობენ საბოტაჟი გამოუცხადონ სახალხო ფრონტის პროგრამის შესრულებას. მსხვილ კაპიტალისტებს, — აცხადებს დიუკლო, — სურთ მიაღწიონ ახალ დევალვაციას, მაგრამ კომუნისტური პარტია მთელი ძალღონით იბრძოლებს ამ დევალვაციის წინააღმდეგ. კომპარტია მოითხოვს იმ საგადასახადო რეფორმის განხორციელებას, რომელიც გათვალისწინებულია სახალხო ფრონტის პროგრამით. კომპარტია იბრძოლებს აგრეთვე ახალი გადასახადების შემოღების წინააღმდეგ, რომლებსაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ მშრომელი მასების ინტერესებს.

ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი მუნტერსი მოსკოვს გამოემგზავრა

რიგა, 14 ივნისი (საქდესი). დღეს ოფიციალური ვიზიტით მოსკოვს გაემგზავრა ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი მუნტერსი. მას თან ახლავან საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის განყოფილების გამგე ფრეიმანისი და სამინისტროს იურიდიული განყოფილების გამგე კამპე.

მოსკოვს აგრეთვე მიემგზავრება სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლატვიაში ამხ. ბროდოვსკი.

უზენაესი სასამართლოს განაჩენი—ხალხის განაჩენია

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილების მეომრები და მეთაურები იხილავენ თავდაცვის სახალხო კომისრის ამხ. ვოროშილოვის ბრძანებას

უდიდესი ყურადღებით მოისმინეს № ქართული მსროლელი ლეგიონის მეომრებმა და მეთაურებმა ამხ. ვოროშილოვის ბრძანება, რომელიც მოუწოდებს რევოლუციური სიფხიზლის კიდევ უფრო გაძლიერებისაკენ.

მეომრები და მეთაურები სამარცხვინო ბოძზე აკრავენ სამშობლოს მოღალატეებს, საზიზღარ გამცემლებს, რომლებიც ცდილობდნენ ფაშისტებისათვის მიეყიდათ ჩვენი მშვენიერი სამშობლო.

№ ქართული ლეგიონის მეომარმა — კომკავშირელმა ამხ. ქათამაშვილმა სთქვა:

— თავის ბრძანებაში თავდაცვის სახალხო კომისარი ამხ. ვოროშილოვი მოითხოვს გავაათკეცოთ რევოლუციური სიფხიზლე და დაუღალავად ავამაღლოთ მუშურ-გლეხური წითელი არმიის ძლიერება.

— თავდაცვის სახალხო კომისრის ამხ. ვოროშილოვის ბრძანების საპასუხოდ, — ამბობს მეომარი — კომკავშირელი ამხ. ნემანიშვილი, — ჩვენ კიდევ უფრო მტკიცედ დავირაზმებით პარტიის ცენტრალური კომიტეტის და ჩვენი საყვარელი ამხანაგის სტალინის გარშემო.

— ჩვენ დაუღალავად გავაძლიერებთ ბოლშევიკურ სიფხიზლეს, რათა ვერცერთმა ჯაშუშმა, მზვერავმა და გამცემელმა ვერ შესძლოს ჩვენს რიგებში შემოძვრომა.

— დაე იცოდნენ ფაშიზმის საზიზღარმა, სამგზის წყეულმა დაქირავებულმა აგენტებმა, რომ ისინი ვერ დაემალებიან ჩვენს სახელოვან ჩეკისტებს, — აცხადებენ ქართული მსროლელი ლეგიონის მეომრები.

○

მოისმინეს რა თავდაცვის სახალხო კომისრის, საბჭოთა კავშირის მარშლის ამხ. ვოროშილოვის ბრძანება, საარტილერიო საბანაკო შეკრების საშტაბო დანაყოფის მეომრები და მეთაურები სიტყვას აძლევენ ბოლშევიკურ პარტიას, მთელი მსოფლიოს მშრომელთა საყვარელ ბელადს, მეგობარსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს, თავდაცვის სახალხო კომისარს ამხ. ვოროშილოვს, რომ პირველი დაძახებისთანავე ყველა, როგორც ერთი კაცი, გამოვა საბჭოთა სამშობლოს დასაცავად.

იმისათვის, რომ დავეხმაროთ პარტიას, რათა ბოლომდე მოსპოს ფაშიზმის ყველა ხელშემწყობი — ჯაშუშები, მავნებლები და მზვერავები, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ ისინი, ჩვენ ვკისრულობთ ვალდებულებას კიდევ უფრო უკეთ დავეუფლოთ ბოლშევიზმს, უფრო ღრმად შევისწავლოთ ბელადის მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, გავაძლიეროთ პასუხისმგებლობა ჩვენი მუშაობისათვის, გავაათკეცოთ რევოლუციური სიფხიზლე.

გაუმარჯოს ბოლშევიკურ პარტიას და ხალხთა ბელადს ამხანაგ სტალინს!

გაუმარჯოს თავდაცვის ჩვენს საყვარელ სახკომს, საბჭოთა კავშირის მარშალს ამხ. ვოროშილოვს!

გავაძევოთ პარტიიდან ჯაშუშთა და დივერსანტთა ხელშემწყობნი

აშხაბადი, 14 ივნისი (საქდესი). პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა განიხილა თურქმენისტანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილება პარტიის აშხაბადის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის უმანსკის სამუშაოდან მოხსნისა და პარტიიდან გარიცხვის შესახებ. უმანსკისათვის წაყენებული ყველა ბრალდება პლენუმმა დაადასტურა და სავსებით დაეთანხმა თურქმენისტანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებას.

უმანსკი ყოველნაირად იცავდა ტროცკისტებს, მფარველობას უწევდა მათ, ათავისუფლებდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მიერ გამოტანილი საყვედურებისაგან.

მოპარულ და დაკარგულ პარტიულ ბილეთებს მათი პოვნის შემდეგ უმანსკი უბრუნებდა დოყლაპია კომუნისტებს ნაცვლად იმისა, რომ ბიუროს სხდომაზე დაესვა საკითხი პარტიაში ამ ხალხის შემდგომი დარჩენისა. გამორკვეულია უმანსკის კავშირი მის ძმასთან, დივერსანტსა და ჯაშუშთან, რომელიც შორეულ აღმოსავლეთში მუშაობდა.

აშხაბადის პარტიული ორგანიზაცია შეცდომაში იქნა შეყვანილი. ამით აიხსნება, რომ ჯგუფურმა პარტიულმა კრებებმა საქალაქო კომიტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებლად, ხოლო პოლიტიკური ხაზი სწორად სცნეს. ამასთან დაკავშირებით პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა დაადგინა ხელმეორედ მოიწვიოს ჯგუფური პარტიული კრებები საქალაქო კომიტეტის მუშაობის საკითხის განსახილველად.

ამხ. ვასილ შერმაზანოვი

ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო-სამანქანო სადგურის უფროსი, ორდენოსანი, რომლის ხელმძღვანელობითაც სადგური სისტემატიურად ასრულებს გეგმას.
ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

დე ბრუკერის რადიოგრამა ამხ. დიმიტროვს

მოსკოვი, 14 ივნისი (საქდესი). ამხ. დიმიტროვმა ჟენევიდან მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალის თავმჯდომარის დე ბრუკერისაგან მიიღო შემდეგი შინაარსის რადიოგრამა:

„ჩვენც ვფიქრობთ, რომ მთავარია საქმის არსება, ხოლო საქმის არსება—ესაა შეთანხმებული მოქმედებანი ესპანეთის სასარგებლოდ. მუდამ მზად ვართ შევხვდეთ თქვენს წარმომადგენლებს ინფორმაციის მიზნით და აზრთა ურთიერთგაზიარებისათვის, თუ როგორ გატარდეს უკეთ ეს მოქმედებანი, საერთო თანხმობით იქ, სადაც ეს შესაძლებელია და ყოველგან ისე, რომ თავიდან ავიცილოთ უსარგებლო შეხლა-შემოხლა. ჩვენ შეგვიძლია შევხვდეთ თქვენს დელეგატებს ყოველ ადგილას თქვენი არჩევით—ჟენევაში ან მის მიდამოებში. გთხოვთ გაგვაფრთხილოთ ორმოცდა რვა საათით ადრე. თუ როდის შევხვდეთ ერთმანეთს, ამაზე შევთანხმდეთ.

დე ბრუკერი".

ამხ. დიმიტროვის პასუხი დე ბრუკერს

მოსკოვი, 14 ივნისი (საქდესი). ამხ. დიმიტროვმა მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალის თავმჯდომარეს დე ბრუკერს ბრიუსელში გაუგზავნა შემდეგი პასუხი:

„თქვენი დეპეშის პასუხად გაცნობებთ, რომ კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა ესპანელი ხალხის დაცვის საკითხზე მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალის წარმომადგენლებთან მოსალაპარაკებლად დასახა თავისი დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის წევრები მორის ტორეზი, მარსელ კაშენი, ხოზე დიასი, ფრანც დალემი და იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ლუიჯი გალო.

ამხ. ტორეზს დაევალა მოელაპარაკოთ თქვენ უშუალოდ, თუ სად და როდის უნდა მოხდეს შეხვედრა.

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის სახელით გენერალური მდივანი **გ. დიმიტროვი**".

ფილიპე პრეტელის დეპეშა ამხ. დიმიტროვს

მოსკოვი, 14 ივნისი (საქდესი). ამხ. დიმიტროვმა ვალენსიიდან ფილიპე პრეტელისაგან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„მივიღეთ დეპეშა, რომელშიაც გვაცნობებთ თქვენ მიერ ესპანელი ხალხის ინტერესებისათვის გადადგმულ ნაბიჯებს. ჩვენი აღმასკომი მადლობას გიცხადებთ.

მუშათა საყოველთაო კავშირის გენერალური მდივნის თანამდებობის დროებით ამსრულებელი **ფილიპე პრეტელი**".

○ ◇ ○

მოსავლის აღება დაიწყო

(სიღნაღი, ტელეფონით ჩვენი საქ. კორესპონდენტისაგან)

სოფ. ანაგის, ვაქირის, საქობოს, ჯუგაანის, ტიბაანის ქვემო-მაჩხაანისა და ძვ. ანაგის კოლმეურნეობებმა 8 ივნისიდან დაიწყეს ქერის მოსავლის აღება. კომბაინების დიდი ნაწილი ვერ მუშაობს სრული დატვირთვით. ყურადღება უნდა მიექცეს მოსავლის ხელით აღებასაც. მაგრამ ამისათვის ჯუგაანის, ვაქირის და საქობოს კოლმეურნეობანი მზად არ არიან. მომკის დაგვიანების გამო ქერი მომწიფდა და ცვივა. დანაკარგების თავიდან ასაცილებლად ხსენებულ კოლმეურნეობათა თავმჯდომარენი სათანადო ზომებს არ იღებენ.

კომბაინებისათვის ხელსაყრელი პირობების დადგომისთანავე სიღნაღის რაიონის წინმხარის კოლმეურნეობების მინდვრებზე დამატებით მუშავებს შირაქის საბჭოთა მეურნეობის 4 კომბაინი.

შირაქში მოსავლის აღება 10 ივლისიდან დაიწყება.

პალ. ჭოჭუა

◇

ნიადაგის მომზადება ჩაისათვის

მიწსახკომის 10 ივნისის ცნობებით

რაიონები	ჩაის პლანტაციის გასაშენებლად ნიადაგი მომზადებულია ჰექტარობით	გეგმის შესრულება პროცენტობით
მახარაძე	78	101,2
ჩოხატაური	29	78,8
ლანჩხუთი	46	76,6
წულუკიძე	134	45,7
ქუთაისი	126	18,4
ტყიბული	100	50
ცხაკაია	50	94,8
გეგეჭკორი	112	100
ზუგდიდი	60	100
წალენჯიხა	77	70
ჩხოროწყუ	124	63
ხობი	35	140
აჭარის ასსრ	37	16
აქედან:		
ქობულეთის რ.	15	16,6
ბათუმის რ.	22	19,2
აფხაზეთის ასსრ	232	49,6
აქედან:		
გალის რ	62	89,8
ოჩამჩირის რ.	87	87
სოხუმის რ.	35	48,6
გუდაუთის რ.	49	52,7
სულ რესპუბლიკაში	1,241	47

○

ჩაის პლანტაციებისათვის ნიადაგის მომზადების დამთავრების ვადა 1 ივლისია. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკური გეგმა ნახევრადაც არ არის შესრულებული — 2641 ჰექტარიდან მომზადებულია მხოლოდ 1241. როგორც ცხრილიდანაც სჩანს, განსაკუთრებით ჩამორჩენილია აჭარის რაიონები, სადაც 230 ჰექტარიდან მხოლოდ 37 დაამუშავეს. თითქმის ასეთივე მდგომარეობა აფხაზეთში—მოუმზადებელია 236 ჰექტარი.

გარდა ამისა, ჩაის პლანტაციის ამ გადაუდებელი ამოცანის შესასრულებლად მეტისმეტად სუსტად იბრძვიან ქუთაისის რაიონში. გეგმა ერთი მეხუთედითაც არ შეუსრულებიათ (არ დაუმუშავებიათ 557 ჰექტარი). დიდია აგრეთვე ჩამორჩენა წულუკიძის, ტყიბულის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის რაიონებში.

რკინიგზელები სთხოვენ მთავრობას გამოუშვას სსრ კავშირის თავდაცვის სესხი

ხალხის უსაზიზღრეს მტერთა ბოროტმოქმედებათა პასუხად

პასუხად ჯაშუშთა, სამშობლოს მოღალატეთა ცდისა შეერყიათ წითელი არმიის ძლიერება და შეესუსტებინათ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, რკინიგზელები თავიანთ მრავალრიცხოვან რეზოლუციებში მიმართავენ სსრ კავშირის მთავრობას თხოვნით გამოუშვას სპეციალური სესხი საბჭოთა კავშირის თავდაცვის განსამტკიცებლად.

ლენინის რკინიგზის მოსკოვის დამხარისხებელ დეპოში გაიმართა მიტინგი რომელსაც დაახლოვებით 700 კაცი დაესწრო. ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია:

„ჩვენ, ლენინის რკინიგზის მოსკოვის დამხარისხებელი სადგურის დეპოს მუშები, მოსამსახურენი და ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაკები, შევიკრიბეთ რა მიტინგზე, გამოვთქვამთ ჩვენს ზიზღსა და სიძულვილს ხალხის მტრების — ტუხაჩევსკის, უბორევიჩის, ეიდემანის, იაკირის, კორკის, ფელდმანის, პრიმაკოვისა და პუტნას მიმართ.

დიდია და ღრმა ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელთა სიძულვილი ხალხის მტრების — ჯაშუშების, დივერსანტების, მავნებლების მიმართ, ყველა იმათ მიმართ, ვისაც სურს წაბილწოს აყვავებული საბჭოთა მიწა-წყალი გერმანიის ფაშიზმის მყრალი ჩექმით.

ამ ბანდის გამოაშკარავება და მისი გასამართლება ნიშანია საბჭოთა წყობილების ძლიერების, სიმძლავრისა და ურყევობის.

კაპიტალისტური მსოფლიოს მზვერავებს ჩვენში არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ არაითარი დასდობა.

ხალხის მტერთა საზიზღარ ბოროტმოქმედებათა პასუხად კიდევ უფრო შევმჭიდროვდებით ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო.

ჩვენ გავაათკეცებთ რევოლუციურ სიფხიზლეს, გავაუმჯობესებთ ჩვენი მუშაობის ხარისხს და მიუდგომელ სიმაგრედ გავხდით ჩვენს ქვეყანას.

პასუხად სამშობლოს მტერთა და მოღალატეთა ცდისა შეერყიათ სსრ კავშირის ძლიერება და თავდაცვისუნარიანობა, მივმართავთ საბჭოთა მთავრობას თხოვნით, გამოუშვას ახალი სესხი — სსრ კავშირის თავდაცვის სესხი.

გაუმარჯოს დიად, სახელოვან კომუნისტურ პარტიას და ხალხთა საყვარელ ბელადს ამხანაგ სტალინს!“

○

მიტინგზე ომსკის რკინიგზის ბარაბინსკის დეპოში გამოვიდა მემანქანე ამხ. სოროკინი:

— მოღალატეთა გამცემლობის საპასუხოდ, შემომაქვს წინადადება ვთხოვოთ ჩვენს მთავრობას, გამოუშვას ახალი სესხი, რომლის სახსრებიც უნდა მოხმარდეს ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

ამხ. სოროკინის წინადადება მიღებულ იქნა ომსკის რკინიგზის ბარაბინსკის განყოფილების 15 მიტინგზე.

○

რიაზანისა და ურალის რკინიგზის ვაგონ-სარემონტო ქარხნის ინჟინერი დოდონოვი გამოვიდა კრებაზე წინადადებით, რათა ეთხოვოს მთავრობას **გამოუშვას ახალი სესხი ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად.** კრებამ ერთხმად დაუჭირა მხარი ამხ. დოდონოვის წინადადებას.

ლენინის რკინიგზის სავაგონო უბნის მუშაკმა ამხ. სოკოლოვმა მიტინგზე განაცხადა:

— არ მყოფნის სიტყვები, რათა გამოვხატო მთელი სიძულვილი და ზიზღი სამშობლოს მოღალატეებისადმი, ფაშისტ ჯაშუშებისადმი.

მათი გამცემლობის პასუხად წინადადება შემომაქვს **ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად ვთხოვოთ მთავრობას გამოუშვას ახალი სესხი.**

○

კრებებსა და მიტინგებზე დაახლოვებით 30 ათასმა რკინიგზელმა მისცა ხმა წინადადებას, რათა მიმართონ თხოვნით მთავრობას სსრ კავშირის **თავდაცვის სესხის გამოშვების შესახებ.**

(„პრავდა“
1937 წ. 15 ივნისი).

მხურვალედ მივესალმებით რკინიგზელთა მიმართვას

მხურვალედ მივესალმებით მოსკოვის რკინიგზელთა ინიციატივას, რომელთაც მიმართეს მთავრობას თხოვნით გამოუშვას **ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების სესხი.**

დაე იცოდნენ ჩვენი ძლიერი სამშობლოს მტრებმა, რომ როგორც ფრონტზე, ისე ზურგში თვითეულ საბჭოთა მოქალაქეში ისინი შეხვდებიან წითელარმიელს—თავისი დიადი, მსოფლიოში ერთადერთი სოციალისტური სამშობლოს დამცველს.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ რკინიგზელთა თხოვნას თავდაცვის სესხის გამოშვების შესახებ შეუერთდება საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელი.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის უძლეველ პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს გამარჯვებათა სულისჩამდგმელს და ორგანიზატორს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს!

სსრ კავშირის სახალხო არტისტები, ორდენოსნები
ა. ვასაძე
ა. ხორავა

○

თბილისის ს. კუდრიავცევის სახელობის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშები, მუშა-ქალები, ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაკები და მოსამსახურენი ერთსულოვნად მიესალმებიან რკინიგზელთა თაოსნობას, რომლებმაც მიმართეს მთავრობას თხოვნით, რათა ომის გამჩაღებელთა ოინების საპასუხოდ გამოუშვას **საყვარელი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების სესხი.**

პირველი ცვლის მუშაობის დამთავრების შემდეგ ფაბრიკის კლუბში შესდგა მიტინგი, რომელსაც 550 კაცი დაესწრო. გაეცნენ რა რკინიგზელთა მოწოდებას, მუშებმა განაცხადეს:

ხალხის მტერთა, დივერსანტთა, ჯაშუშთა, მოღალატეთა ოინებს ჩვენ ვუპასუხებთ სოციალიზმის ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის კიდევ უფრო განმტკიცებით. ვუერთებთ ჩვენს ხმას რკინიგზელთა თხოვნას **ჩვენი მშვენიერი სამშობლოს,** მთელი მსოფლიოს მშრომელთა სოციალისტური სამშობლოს **თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების სესხის** გამოშვების შესახებ.

აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის სამივე ცვლის მიტინგებზე მიღებულია რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია:

ფაბრიკის მუშათა, მუშა-ქალთა, ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა და მოსამსახურეთა ათასიანი კოლექტივის სახელით ჩვენ ვთხოვთ საბჭოთა კავშირის მთავრობას გამოუშვას **სესხი ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის.**

ტრანსარქტიკული გადაფრენა დამთავრებულია

მოსკოვი, 11 ივნისი (საქტესი). 14 ივნისს ცნობილმა პოლარულმა მფრინავმა — ორდენოსანმა ამხ. ფ. ბ. ფარიხმა დაამთავრა თავისი გრანდიოზული ტრანსარქტიკული გადაფრენა, დაწყებული 9 თებერვალს.

თვითმფრინავმა „სსსრ ნ—120“ რომელიც დაეშვა მოსკოვში, ტუშინოს აეროდრომზე, დაასრულა საჰაერო გზის გიგანტური წრე, რომელიც გადიოდა ურალის მთებზე, ციმბირის თვალუწვდენელ ტაიგაზე, იაკუტიის მთაგრეხილებზე, ჩრდილოეთის დიდი საზღვაო გზის გასწვრივ, არქტიკის ყინულოვან სივრცეებზე.

გადაფრენა ჩატარდა მარშრუტით: მოსკოვ — სვერდლოვსკ — კრასნოიარსკ — ირკუტსკ — იაკუტსკ — შმიდტის კონცხი—ვრანგელის კუნძული — ჩელუსკინის კონცხი — დიკსონის კუნძული — ამდერმა — არხანგელსკ—მოსკოვი.

პირველად პოლარული ავიაციის ისტორიაში თვითმფრინავმა ზამთრის პირობებში გაიარა 145 საფრენოსნო საათში 24 ათასი კილომეტრი გზა. ეს გადაფრენა საბჭოთა კავშირის გმირთა გასული წლის ტრანსარქტიკულ გადაფრენებთან ერთად კიდევ ერთ ბრწყინვალე ფურცელს ჩასწერს ბოლშევიკების მიერ არქტიკის დაპყრობის ისტორიაში.

გადაფრენა მოხდა ორმოტორიანი „მ—17“ თვითმფრინავით „ანტ—4“, რომელიც მთლიანად აგებული და გამართულია საბჭოთა ქარხნებში.

სრულ 17 საათზე ფარიხის თვითმფრინავი შეეხო მიწას. მას შეეგებნენ სიხარულით აღსავსე მისასალმებელი შეძახილით. ასობით ადამიანები გარშემოერტყნენ მანქანას. ათობით თაიგულები მიუძღვნეს გადაფრენის მამაც მონაწილეებს.

რამდენიმე წუთის შემდეგ გაიხსნა მიტინგი.

ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოს უფროსის თანამდებობის შემსრულებელმა ამხ. იანსონმა მიულოცა თვითმფრინავის ეკიპაჟს დავალების ბრწყინვალედ შესრულება.

„სსრ ნ—120“ ეკიპაჟის სახელით სიტყვა წარმოსთქვა თვითმფრინავის უფროსმა ამხ. ფარიხმა, რომელსაც დამსწრენი მხურვალე ტაშით შეეგებნენ.

— საზიზღარი გამცემლები, — სთქვა დასასრულ ამხ. ფარიხმა, — ცდილობდნენ მიეყიდნათ ჩვენი სამშობლო ომის გამჩაღებელ ფაშისტებისათვის. დაე იცოდნენ ფაშისტმა არამზადებმა, რომ საბჭოთა მფრინავები დაიცავენ თავის დიად სამშობლოს ყოველგვარი მტრის ხელყოფისაგან.

◇

ფრინველი პოლუსზე

რუდოლფის კუნძული, 14 ივნისი (საქტესი). გუშინ პაპანინის ბანაკი აღელვა ახალმა სენსაციამ. დაზამთრების მოდრეიფე ადგილას მოფრინდა ფრთაფართფატა. პაპანინი, კრენკელი, ფედოროვი და შირშოვი უაღრესად გახარა ფრთიანი სტუმრის მოსვლამ.

მათ იქ უკვე ნახეს ჭინჭრაქა და ისვინჯა. ახლა ფრთაფართფატას გამოჩენის შემდეგ დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ფრინველები მიფრინავენ ჩრდილოეთის პოლუსამდე.

თბილისის მშრომელნი მხურვალედ უჭერენ მხარს რკინიგზელთა წინადადებას

ვუერთებთ ჩვენს ხმას

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონების სარემონტო ქარხნის ყველა საამქროში გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგები, მიძღვნილი სსრ კავშირის მთავრობის სახელზე რკინიგზელთა მიმართვისადმი **ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების სესხის** გამოშვების შესახებ.

ქარხნის 1500-ზე მეტი მუშა, მოსამსახურე და ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაკი უდიდესი სიხარულით მიესალმა ლენინის, ომსკის და რიაზან-ურალის გზების რკინიგზელთა წინადადებას.

მიტინგზე გამოსულმა ორდენოსნმა მჭედელმა ამხ. დ. ჭიჭინაძემ განაცხადა:

ჩვენ სიხარულით ვუჭერთ მხარს რკინიგზელთა ინიციატივას და ვთხოვთ პარტიასა და მთავრობას მავნებლობის შედეგთა უსწრაფესი ლიკვიდაციისათვის გამოუშვან **ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების** ახალი სესხი.

— ფაშისტთა საზიზღარი ჯაშუშების, დივერსანტების მოღალატურ საქმიანობას, — განაცხადა საქვაბე საამქროს ბრიგადირმა ამხ. ბარბაქაძემ, — ჩვენ ვუპასუხებთ **ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების ახალი სესხის** გამოშვებით. ჩვენ სიამაყით ვუერთებთ ჩვენს ხმას ლენინის და სხვ. გზების რკინიგზელთა თხოვნას.

მიტინგის მიერ ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:

„ომის გამჩაღებელთა ოინების საპასუხოდ სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონების სარემონტო ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაკები და მოსამსახურეები თავიანთ ხმას უერთებენ ლენინის, ომსკის და რიაზან-ურალის რკინიგზების რკინიგზელთა ხმას. ჩვენ ვთხოვთ სსრ კავშირის მთავრობას გამოუშვას **ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების სესხი.**

მეორე ხუთწლედის უკანასკნელი წლის ახალი სესხი გამანადგურებელ ლახვარს ჩასცემს ფაშისტური ქვეწარმავლის საზიზღარ ზრახვებს, რომელიც ცდილობს დაასუსტოს ჩვენი სამშობლოს ძლიერება“.

○

თბილისის საორთქლმავლო დეპოს 500 მუშა, ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაკი და მოსამსახურე შეიკრიბა მუშაობის დამთავრების შემდეგ მიტინგზე, რომელიც მიძღვნილი იყო ლენინის, ომსკის, რიაზან-ურალის რკინიგზების რკინიგზელთა მიმართვისადმი **ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების ახალი სესხის** გამოშვების შესახებ.

— მე სიხარულით ვხვდები მშრომელი მასების თხოვნას მეორე ხუთწლედის უკანასკნელი წლის ახალი სესხის გამოშვების შესახებ, — განაცხადა მიტინგზე სტახანოველმა ამხ. ზაგაროვსკიმ. — ეს იქნება ჯაშუშთა, იაპონია-გერმანიის დაზვერვის დაქირავებულ აგენტთა მავნებლური აქტების საუკეთესო პასუხი.

„ჩვენ, მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივი, — ნათქვამია ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში, — მხურვალედ ვუერთდებით რკინიგზელთა თხოვნას და ვთხოვთ მთავრობას დააჩქაროს ახალი სესხის გამოშვება.

ჩვენ გავსრისეთ, როგორც ყოვლად უბადრუკი მატლი ტუხაჩევსკის სამხედრო-ჯაშუშური ბანდა. გავსრისეთ ჯაშუშურ-მავნებლური ბანდა დივერსანტებისა, რომლებიც რკინიგზის ტრანსპორტზე თარეშობდნენ. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთელი ძლიერებით გავსრესთ ჩვენ ამ ჯაშუშური ბანდის ფაშისტ ბატონ-პატრონთ, როგორც კი ისინი გაბედავენ ჩვენზე თავდასხმას“.

○

თბილისის თამბაქოს ფაბრიკის მეორე ცვლის მუშათა, მუშა-ქალთა, ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა და მოსამსახურეთა მიტინგზე, რომელმაც განიხილა რკინიგზელთა მიმართვა სსრ კავშირის **თავდაცვაუნარიანობის განმტკიცების სესხის გამოშვების** შესახებ, გამოვიდნენ ამხ. სახარაძე — დატების ჩამლაგებელი საამქროს გამგის მოადგილე, მუშა ქალი ოზელოვა, მექანიკოსები რასინსკი და ალახვერდოვი, სტახანოველი — ქალი აბრამიანი და სხვ. ისინი მიესალმებიან საბჭოთა კავშირის რკინიგზელთა ინიციატივას, რომლებმაც მიმართეს მთავრობას თხოვნით გამოუშვას **სსრ კავშირის თავდაცვის სესხი.**

პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირზე — მთავარია

კომკავშირის რკინიგზის ძირეულ ორგანიზაციებში

საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მე-3 პლენუმის გადაწყვეტილებათა განხილვის შედეგად რკინიგზის ძირეულ კომკავშირულ ორგანიზაციებში ფართოდ გაიშალა კრიტიკა და თვითკრიტიკა. გამომჟღავნდა შინაკომკავშირული დემოკრატიის პრინციპების უხეში დარღვევა-დამახინჯებანი.

მაგალითად, სადგურ ფოთის საორთქლმავლო და სავაგონო დეპოს კომკავშირის კომიტეტის მდივანი ამხ. ქვანია ისე წავიდა ორგანიზაციიდან, რომ ანგარიში არ ჩაუბარებია კომკავშირული კრებისათვის. აქ სუსტად ხელმძღვანელობენ პოლიტსწავლების საქმეს. ხშირია პოლიტგანათლების წრის მეცადინეობის ჩაშლა, აგიტატორები და გაზეთის წამკითხველები ფორმალურად გამოჰყავს და პრაქტიკულად ისინი არაფერს არ აკეთებენ.

ამ მდგომარეობას კარგად ხედავს როგორც ადგილობრივი პარტორგანიზაცია, ასევე ფოთის საქალაქო პარტიული კომიტეტი, მაგრამ რატომღაც არცერთი თავს მოვალედ არ სთვლის უშუალოდ დაეხმაროს სადგ. ფოთის კომკავშირის ორგანიზაციას ნაკლოვანებათა გამოსწორებაში.

○

კიდევ უფრო ხელაღებით არღვევდნენ შინაკომკავშირული დემოკრატიის პრინციპებს თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის კომკავშირის ორგანიზაციაში. აი ფაქტებიც. ამხ. გელოვანი ისე წავიდა წარმოებიდან, რომ კომკავშირულ ორგანიზაციისათვის ანგარიში არ ჩაუბარებია. ასევე ანგარიშჩაუბარებლად წავიდა წარმოებიდან სამგზავრო საამქროს კომორგი. თვითკრიტიკისა და კრიტიკის ჩახშობის შედეგად ქარხნის კომკავშირულმა ორგანიზაციამ დაჰკარგა რევოლუციური სიფხიზლე. ამით ისარგებლეს ხალხისა და პარტიის მტრებმა, ტროცკისტთა ლეკვებმა, ზაქმა, ბლიახმა და მოტელიმ და ტროცკის ქოფაკების — როზენცვეიგის და თოფურიას კარნახით გააჩაღეს ფარული მუშაობა ქარხნის კომკავშირელთა ტროცკისტული შხამით მოსაწამლავად. მართალია, ეს გარეწრები გაირიცხნენ კომკავშირიდან და დასჯილიც არიან, მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

○

ალკკ ლენინის სახელობის რაიკომი (მდივანი ამხ. კეზერაშვილი) კომკავშირში მიღება-გარიცხვის საქმეების გარჩევისადმი [illegible] დამოკიდებულებას იჩენს. განსაკუთრებით ძალიან აჭიანურებს რაიკომი ტრანსპორტის კომკავშირელთა საქმეების გარჩევას. კომკავშირში გადაგზავნილია ახლად მიღებულთა 46 ანკეტა, რომელთა გარჩევის და დამტკიცებისათვის რაიკომი „ვერ იცლის“. არც საგზაო პოლიტგანყოფილების ინსტრუქტორები ეხმარებიან ქარხნის კომკავშირის ორგანიზაციას შინასაკავშირო მუშაობის ახლებურად გარდაქმნაში. პოლიტგანყოფილების ინსტრუქტორები იაკობიძე და ასლანიშვილი გასტროლიორებივით მიდიან ხოლმე ქარხნის კომკავშირის კომიტეტში, იკითხავენ, „როგორ ხართ, როგორ მუშაობთო“ და ისე წავლიან, რომ კონკრეტული დახმარებისათვის თავს არ შეიწუხებენ.

○

ა. კ. რკინიგზის პირველი რაიონის (სამტრედიის) პოლიტგანყოფილების მუშაობა კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის ხაზით მეტად სუსტი იყო. ამხ. ტატანაშვილი (სამტრედიის უბნის პოლიტგანყოფილების უფროსის თანაშემწე კომკავშირის ხაზით) გატაცებული იყო მხოლოდ მრავალრიცხოვანი ორგანიზაციებით და ყურადღებას არ აქცევდა საველე სადგურებთან არსებული კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას, პოლიტსწავლების მდგომარეობას მხოლოდ ციფრებით იცნობდა, ნამდვილად არ იცოდა, როგორ მუშაობდნენ ადგილებზე პოლიტწრეები, როგორია პროპაგანდისტთა მომზადების დონე.

○

არა საკმაო ხელმძღვანელობას უწევს სად. ხაშურის კომკავშირის ორგანიზაციას კომკავშირის ხაშურის რაიონული კომიტეტი. რაიკომის მუშაობას ბიუროკრატიზმი აფერხებს. ხელის შეწყობის ნაცვლად, რაიკომი ხელს უშლის კომკავშირული ორგანიზაციების ზრდას. მაგალითად, სადგ. ხაშურის ორგანიზაციიდან რამდენიმე თვეა რაიკომში გადაგზავნეს კომკავშირში ახლად მიღებული 10 ამხანაგის ანკეტა, ეს ანკეტები რაიონული კომიტეტის ერთერთი მუშაკის მაგიდის გამოკეტილ უჯრაში ხელუხლებლად ინახება.

აქ არ არის მოწესრიგებული „კომკავშირული მეურნეობა“, დოკუმენტების მოვლა - პატრონობას სერიოზულ ყურადღებას არ აქცევენ. რაიკომში ხშირად იკარგება პირადი საქმეები. კომკავშირიდან გარიცხულთა და მიღებულთა საქმეები და საწევრო ბილეთები. რაიკომი დაგვიანებით არჩევს ძირეული ორგანიზაციიდან გადმოცემულ საქმეებს გარიცხვაზე მაგალითად, ხაშურის დეპოს კომკავშირის ორგანიზაციამ გამოამჟღავნა და გარიცხა კომკავშირის რიგებიდან ტროცკისტი სარაშვილი. მისი საქმე საბოლოოდ დასამტკიცებლად გადაეცა ხაშურის რაიკომს, მაგრამ იქ ტროცკისტ სარაშვილის გარიცხვის საქმე 2 თვის შემდეგ განიხილეს.

სადგურ ხაშურის კომკავშირის ორგანიზაციისადმი პარტიული ხელმძღვანელობა სუსტია, პარტორგანიზაცია ზოგჯერ ხელს უშლის კომკავშირელთა პოლიტგანათლების გაშლას.

○

აღნიშნული ფაქტები მოწმობენ, რომ რკინიგზის კვანძის კომკავშირის ძირეულ ორგანიზაციებს პოლიტგანყოფილებები და ადგილობრივი ალკკ რაიკომები სუსტად ხელმძღვანელობენ, აგრეთვე ადგილობრივი პარტორგანიზაციები აშკარად არასაკმაო ინტერესს იჩენენ კომკავშირისადმი პარტიულ ხელმძღვანელობის გაწევის საქმეში. სხვანაირად არ შეიძლება აიხსნას კომკავშირის სუსტი მუშაობა, თუ არა სუსტი პარტიული ხელმძღვანელობით — პირველ რიგში.

პარტიულ ხელმძღვანელებმა არ უნდა დაივიწყონ დიდი სტალინის მითითება, რომ... „პარტიის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა არის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა კომკავშირის მთელ მუშაობაში“.

საჭიროა კიდევ უფრო მკვეთრად გაიშალოს კრიტიკა და თვითკრიტიკა, საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მე-3 პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე მთლიანად გამომჟღავნებულ იქნას ის ნაკლოვანებანი, რომელნიც აფერხებენ კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას და ხელს უშლიან ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდას.

ალ. გვინჩიძე
ნ. გეურქოვი

ნ. კრუშკოლი

საქ. კ.პ.(ბ) ისტორიის ლენინგრადის ინსტიტუტის უფრ. მეცნიერული თანამშრომელი

საბჭოების სრულიად-რუსეთის პირველი ყრილობა *)

თავის პირველ სტატიაში გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ამხანაგი სტალინი სწერდა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების უდიდეს მნიშვნელობაზე, მათი სრულიად-რუსეთის მასშტაბით გაერთიანების აუცილებლობაზე: „განვამტკიცოთ, საყოველთაო გავხადოთ ისინი, დავაკავშიროთ ერთმანეთთან მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ცენტრალური საბჭოს, როგორც ხალხის რევოლუციური ძალაუფლების ორგანოს, მეთაურობით“ (ი. სტალინი. „ოქტომბრის გზაზე“ გვ. 2).

მეორე სტატიაში „რუსეთის რევოლუციის გამარჯვების პირობების შესახებ“ ამხანაგი სტალინი კიდევ უფრო გარკვეულად ამბობს ამის შესახებ:

„აუცილებელია მთელი რუსეთის დემოკრატიის რევოლუციური ბრძოლის საერთო-რუსული ორგანო, საკმაოდ ავტორიტეტული იმისათვის, რომ ერთად შეადუღოს დედაქალაქისა და პროვინციული დემოკრატია და ხალხის რევოლუციური **ბრძოლის** ორგანოდან საჭირო მომენტში გადაიქცეს რევოლუციური **ხელისუფლების** ორგანოდ, რომელიც დარაზმავს ხალხის ყველა ცოცხალ ძალებს კონტრრევოლუციის წინაამდეგ.

ასეთი ორგანო შეიძლება იყოს მხოლოდ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საყოველთაო-სახალხო საბჭო“ (ი. სტალინი, „ოქტომბრის გზაზე“, გვ. 9—10).

ლენინმა თავის აპრილის თეზისებში მთელი სიგრძე-სიგანით დააყენა საბჭოების ხელში ძალაუფლების მთელი სისრულის გადასვლის საკითხი. იგი განმარტავდა, რომ საბჭოების ძალაუფლება—ეს მინისტრების უბრალო შეცვლა კი არ არის, არამედ ეს არის სრულიად ახალი ტიპის სახელმწიფოს შექმნა.

„პარლამენტარული რესპუბლიკა კი არა,—სწერდა იგი მუშათა დეპუტატების საბჭოების შემდეგ ამ რესპუბლიკისაკენ დაბრუნება, ნაბიჯის უკან გადადგმა იქნებოდა,—არამედ მუშათა, მოჯამაგირეთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების რესპუბლიკა მთელ ქვეყანაში თავიდან ბოლომდე.

პოლიციის, არმიის, ჩინოვნიკობის მოსპობა (ე. ი. მუდმივი არმიის შეცვლა ხალხის საყოველთაო შეიარაღებით)“. (ლენინი, თხზ. ტ. XX გვ. 88).

ბოლშევიკთა სრულიად-რუსეთის აპრილის კონფერენციამ ხმების უდიდესი უმრავლესობით მიიღო ლენინის თეზისები და შეიმუშავა საბჭოების ძალაუფლებისათვის ბრძოლის გაშლილი პროგრამა.

ბოლშევიკები გამოდიოდნენ იქიდან, რომ მუშათა და განსაკუთრებით ჯარისკაცთა და გლეხთა ფართო მასებს მოუთმენლად სწყუროდათ ზავი, მიწა, მოპოვებული თავისუფლების განმტკიცება. ეს მასები ინსტინქტურად არ ენდობოდნენ ბურჟუაზიულ დროებით მთავრობას, მაგრამ მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ რწმენა თავისი ძალებისადმი, რომ ძალაუფლება საკუთარ ხელში აეღოთ.

ბურჟუაზიამ უაღრესად მოხერხებულად გამოიყენა მასების სუსტი პოლიტიკური შეგნებულობა. და როდესაც ხელისუფლების აპრილის კრიზისის შემდეგ რუსეთის ბურჟუაზიის იმპერიალისტური პოლიტიკის ყველაზე მკაფიო გამომხატველნი—გუჩკოვი და მილიუკოვი, რომლებმაც მასების ერთსულოვანი სიძულვილი დაიმსახურეს, იძულებული გახდნენ გადამდგარიყვნენ,—ბურჟუაზია თავგამოდებით შეეცადა „სოციალისტების“—მენშევიკებისა და ესერების შესვლას მთავრობაში. ბურჟუაზიას ეს იმისათვის ესაჭიროებოდა, რომ ამ „სოციალისტების“ ხელით ექეთებინა თავისი ბინძური საქმე: გაეჭიანურებინა იმპერიალისტური ომი, გაერეკა არმია შეტევაზე, დაეთრგუნა გლეხები, რომელნიც თვითნებურად იკავებდნენ მემამულეთა მიწებს, ყოველნაირი წინააღმდეგობა გაეწია მუშების სავსებით კანონიერი მოთხოვნებისათვის მუშათა კონტროლის შემოღების, 8-საათიანი სამუშაო დღის საკანონმდებლო განმტკიცებისა და ხელფასის გადიდების შესახებ სიძვირის უდიდეს ზრდასთან შეფარდებით.

მენშევიკები და ესერები უყოყმანოდ დაეთანხმნენ ბურჟუაზიის ამ მოთხოვნას და დროებითი მთავრობის შემადგენლობაში გაგზავნეს „სოციალისტები“—ესერი ჩერნოვი, მენშევიკები წერეთელი და სკობელევი და სახალხო სოციალისტები—პერევერზევი და პეშეხონოვი, რომ აღარ ვიანგარიშოთ კერენსკი, რომელიც დროებითი მთავრობის პირველ შემადგენლობაშივე შედიოდა.

კოალიციური მთავრობა შესდგა 18 (5) მაისს. საბჭოების პირველი ყრილობა შეიკრიბა 16 (3) ივნისს.

ყრილობას უნდა გადაეწყვიტა— მზად იყვნენ თუ არა საბჭოები ხელში აეღოთ ძალაუფლება, შეეწყვიტათ ბურჟუაზიასთან შემთანხმებლობის პოლიტიკა და დაეწყოთ ნამდვილი ბრძოლა ზავისათვის, თუ განზრახული ჰქონდათ მომავალშიაც ნაწილ-ნაწილ დაეთმოთ თავისი ძალაუფლება იმპერიალისტური ბურჟუაზიისათვის, რომ ბოლოსდაბოლოს მის უბრალო და სრულიად უძლურ დანამატად გადაქცეულიყვნენ. ამ ყრილობისათვის ანგარიში უნდა ჩაებარებინათ მინისტრ—„სოციალისტებს“ და ისინი ცდილობდნენ, რათა ყრილობას მხარი დაეჭირა მათი შემთანხმებლური პოლიტიკისათვის.

ყრილობა შეიკრიბა უაღრესად რთულ ვითარებაში და გარდა ზოგადი საკითხებისა—ძალაუფლებისა და ომის შესახებ, მის წინაშე იდგა ვეებერთელა მასა უფრო კერძო, მაგრამ უაღრესად მწვავე საკითხებისა, რომლებიც დაკავშირებული იყო სამეურნეო რღვევასთან, მემამულეთა და კაპიტალისტთა საბოტაჟთან, მეფის ყოფილი კოლონიების (უკრაინა, ფინეთი და სხვ.) ნაციონალურ მისწრაფებებთან, ქალაქად და სოფლად კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან.

ყრილობის შემადგენლობამ წინასწარ განსაზღვრა მისი მუშაობის ხასიათი. ყრილობას დაესწრო 1090 დელეგატი (822 კაცი გადამწყვეტი ხმით, დანარჩენი კი სათათბიროთი). დელეგატების რაოდენობით ყრილობაზე დიდი უპირატესობა ჰქონდათ მენშევიკებსა და ესერებს. მენშევიკებს ჰქონდათ 248 ხმა, ესერებს კი 285, მათ მიჰყვებოდა უპარტიო დელეგატებისა და სხვადასხვა წვრილ დაჯგუფებათა დელეგატების მასა. ბოლშევიკებს ყრილობაზე სულ 105 დელეგატი ჰყავდათ.

დელეგატთა მთელი ეს მასა წარმოადგენდა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების 305 გაერთიანებულ საბჭოს, საოლქო და საგუბერნიო ცენტრების 53 საბჭოს, მომქმედი არმიის 21 ორგანიზაციას, ფლოტის 5 ორგანიზაციას და ზურგის 8 სამხედრო ორგანიზაციას. მეტნაწილად ყრილობაზე ჩამოვიდნენ წარმომადგენლები აღმასრულებელი კომიტეტებისა, აგრეთვე საარმიო, სადივიზიო და სხვა კომიტეტებისა, რომლებიც სრულებითაც არ ასახავდნენ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა მასების ნამდვილ განწყობილებებსა და მისწრაფებებს. ეს შეუსაბამობა განსაკუთრებით თვალსაჩინოდ იჩენდა თავს რევოლუციის ცენტრში—პეტროგრადში. პეტროგრადის საბჭო და განსაკუთრებით მისი აღმასრულებელი კომიტეტი მთლიანად ობორონცების—მენშევიკებისა და ესერების ხელში იყო, მუშათა და ჯარისკაცთა მასები კი სულ უფრო და უფრო თავისუფლდებოდნენ ობორონცების გავლენისაგან და ბოლშევიკების მხარეზე გადადიოდნენ. ამაში მენშევიკურ-ესერული ყრილობა ძალიან მალე დარწმუნდა.

ყრილობამ მიიღო შემდეგი დღის წესრიგი:

დამოკიდებულება ომთან, რევოლუციური დემოკრატია და მთავრობის ძალაუფლება, დამფუძნებელი კრებისათვის მზადება, ნაციონალური საკითხი რუსეთში, მიწის საკითხი, მუშათა ცხოვრების საკითხები, ჯარისკაცთა ცხოვრების საკითხები, წარმოების, განაწილებისა და ტრანსპორტის ორგანიზაცია და კონტროლი მათზე, სასურსათო საკითხი, საფინანსო პოლიტიკის საკითხები, ადგილობრივ თვითმმართველობა ორგანიზაციული საკითხები და არჩევნები.

მაგრამ დღის წესრიგით სრულებითაც არ ამოიწურებოდა ყრილობის სამოქმედო არე. რევოლუციური ქუჩა თითქმის ყოველდღე იჭრებოდა კადეტთა კორპუსის მყუდრო დარბაზში, სადაც სხდომები ჰქონდა ყრილობას, და მოითხოვდა ყოველგვარი გადაუდებელი და სასწრაფო საკითხების დაუყოვნებლივ გადაჭრას.

დღის წესრიგში იდგა ძალაუფლების საკითხი. მენშევიკ ლიბერის მეტად უფერული მოხსენების შემდეგ ამ საკითხზე საპროგრამო სიტყვით გამოვიდა მენშევიკთა ბელადი და ფოსტა-ტელეგრაფის „სოციალისტი“ მინისტრი წერეთელი. იგი, ისევე როგორც ყველა ობორონცები და შემთანხმებლები, გადაჭრით უარჰყოფდა ფიქრს მთელი ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლის შესახებ. გრძელ სიტყვაში იგი იმ აზრს ღეჭავდა, რომ უბურჟუაზიოდ რუსეთის რევოლუცია დაიღუპება და, ბოლოს, გადაჭრით განაცხადა: „ამჟამად რუსეთში არ არის პოლიტიკური პარტია, რომელიც ამბობდეს: მოგვეცით ძალაუფლება, წადით, ჩვენ დავიკავებთ თქვენს ადგილსო. ასეთი პარტია რუსეთში არ არის“.

მაგრამ აქ მოხდა სრულიად მოულოდნელი რამ. დარბაზიდან გაისმა ლენინის მშვიდი ხმა „არის“.

შეცბუნებულმა წერეთელმა საჩქაროდ დაამთავრა თავისი გაჭიანურებული გამოსვლა და ლენინს დაუთმო ტრიბუნა.

ლენინს არავითარი ილუზიები არ ჰქონია იმის შესახებ, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მენშევიკ-ესერთა ბელადების დაჯერება ან გონს მოყვანა. მაგრამ მან იცოდა, რომ დარბაზში ცოტა როდი იყვნენ მუშები და ჯარისკაცები, რომელნიც ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყვნენ შემთანხმებლური დემაგოგიის დედაარსში. მან იცოდა, რომ მათ უკან იდგნენ კიდევ მილიონობით მშრომელნი, რომელნიც გულისყურით ადევნებდნენ თვალყურს ყოველივე იმას, რაც ყრილობაზე ხდებოდა. და სწორედ მათ მიმართავდა იგი, როცა ყრილობაზეც განაგრძობდა ბოლშევიკური პროგრამისა და ბოლშევიკური ლოზუნგების მოთმინებით და თავგამოდებით განმარტებას, რასაც პარტია ყოველდღე და ყოველ საათს ეწეოდა ქარხნებსა და ყაზარმებში, ზურგში და ფრონტზე, ქუჩებში და ტრამვაიში, ყველგან, სადაც კი მასები იყვნენ.

ლენინმა თავის სიტყვაში ერთხელ კიდევ გასცა პასუხი წერეთლის გამოწვევაზე:

„ის (წერეთელი) ამბობდა, რომ რუსეთში არ არის პოლიტიკური პარტია, რომელიც გამოსთქვამდეს მზადყოფნას მთლიანად იკისროს ძალაუფლება. მე ვუპასუხებ: „არის! არცერთ პარტიას არ შეუძლია ამაზე უარი სთქვას, და ჩვენი პარტიაც უარს არ ამბობს ამაზე: იგი ყოველ წუთს მზად არის მთლიანად აიღოს ძალაუფლება“ (ლენინი, თხ. ტ. XX, გვ. 481—482).

○

ლენინმა დაწვრილებით განმარტა, თუ რას მოასწავებს ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში აღება. ეს არ არის პირების უბრალო გამოცვლა და პორტფელების გადაცემა, როგორც გამოჰყავდათ საქმე ლიბერსა და წერეთელს, ეს არ არის ის, რომ 10 კაპიტალისტის ნაცვლად დანიშნო 6 კაპიტალისტი და 6 „სოციალისტი“, „12 პეშეხონოვი“ (ე. ი. წვრილბურჟუაზიული სოციალისტები), როგორც ამახინჯებდა ბოლშევიკურ პოზიციას ტროცკი. ეს არის გადასვლა ძალაუფლებაზე, საბჭოებზე. ხოლო „საბჭოები — ეს ისეთი დაწესებულებაა, რომელიც არცერთ ჩვეულებრივი ტიპის ბურჟუაზიულ პარლამენტალურ სახელმწიფოში არ არსებობს და რომელსაც ბურჟუაზიული მთავრობის გვერდით არსებობა არ შეუძლია. ეს არის სახელმწიფოს ახალი, უფრო დემოკრატიული ტიპი, რომელსაც ჩვენს პარტიულ რეზოლუციებში ჩვენ ვუწოდეთ გლეხურ-პროლეტარული, დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელშიაც ერთადერთი ძალაუფლება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს ეკუთვნოდეს“ (ლენინი, თხზ. ტ. XX, გვ. 479-480).

ლენინმა დაწვრილებით მოუთხრო ყრილობას იმ პროგრამაზე, რომელიც საფუძვლად დაედებოდა საბჭოთა მთავრობის მუშაობას, მოუთხრო, თუ როგორ აპირებდნენ ბოლშევიკები ბრძოლას სამეურნეო ნგრევასთან, კაპიტალისტთა ალაგმვას, ქვეყნის გამოყვანას ომიდან.

როდესაც სცადეს ლენინისათვის სიტყვა შეეწყვეტინებინათ, ვინაიდან რეგლამენტით მისთვის მიცემული დრო გავიდა, დარბაზში ხმაურობა და პროტესტი ატყდა და დელეგატებმა აიძულეს პრეზიდიუმი გაეგრძელებინა მისთვის დრო. და თუმცა დელეგატების უდიდესმა უმრავლესობამ ხმა მისცა მენშევიკებსა და ესერებს, ლენინის სიტყვამ მაინც უღრმესი შთაბეჭდილება მოახდინა და აიძულა ისინი კარგად ჩაჰფიქრებოდნენ მათ მიერ არჩეული გზის სისწორეს. და ასეთი მძიმე ფიქრის შედეგად, რასაც დაემატა ცხოვრების მძიმე გაკვეთილები (რუსეთის არმიის შეტევის კრახი, ივლისის ამბები, კორნილოვის ამბოხება), რევოლუციის ყოველ ახალ ეტაპზე მენშევიკებსა და ესერებს ზურგს აქცევდნენ, მშრომელთა ახალ-ახალი ფენები და ბოლშევიკებთან გადადიოდნენ.

საბჭოების პირველმა ყრილობამ 9 ივლისს (26 ივნისს) დაამთავრა თავისი მუშაობა. მან მოიწონა მენშევიკ-ესერ ბელადთა შემთანხმებლური პოლიტიკა და მათი შესვლა კოალიციურ სამინისტროში, მოიწონა შეტევისა და ომის გაჭიანურების პოლიტიკა; ყრილობამ ვერ ჰპოვა გამბედაობა გადაეჭრა რევოლუციის თუნდაც ერთი უმწვავესი საკითხი, რომლებიც კატეგორიულად მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ გადაჭრას (ვერ გადასჭრა ვერც მიწის საკითხი, ვერც სამეურნეო ნგრევის, ვერც რვა-საათიანი სამუშაო დღისა და ვერც მუშათა კონტროლის საკითხები). ყრილობა იმდენად უძლური აღმოჩნდა, რომ რეაქციული სახელმწიფო სათათბიროც კი ვერ დაითხოვა, რომელიც განაგრძობდა არსებობას სახელმწიფო დაწესებულების უფლებით.

საბჭოების პირველი ყრილობა ისტორიაში შევიდა, როგორც ეტაპი ბურჟუაზიისათვის ძალაუფლების გადაცემის, საბჭოების ავტორიტეტის დაკარგვის გზისა. მაგრამ იგივე ყრილობა ეტაპი გახდა მასების კლასობრივი და რევოლუციური შეგნებულობის გამოვლინების საქმეში, რამდენადაც ამ ყრილობაზე გამოდიოდნენ და თავის ახსნაგანმარტებითს მუშაობას აწარმოებდნენ ბოლშევიკები ლენინის და სტალინის მეთაურობით.

◆

---

*) სტატია დაწერილია სპეციალურად „კომუნისტისათვის“.

სახალხო კომისარიატთა აქტივის კრებებზე

საქართველოს ფინსახკომის აქტივის კრება

11 ივნისს დამთავრდა საქ. ფინსახკომის აქტივის კრება. აქტივზე მოხსენებით გამოვიდა საქ. ფინანსთა სახალხო კომისარი ამხ. ხოშტარია.

მომხსენებელმა კრიტიკა და თვითკრიტიკა თავიდანვე ფინანსთა კომისარიატის აპარატისაკენ მიმართა. კომისარიატის ყველა სამმართველო დაავადებულია მუშაობის ყველაზე მავნე სენით. ეს არის კანცელარშჩინისა და ბიუროკრატიზმის მეთოდი. სამმართველოების მიერ შედგენილი გეგმები და საკონტროლო ციფრები უმეტეს შემთხვევაში ცოცხალ სინამდვილეს მოწყვეტილია.

მაგალითად, სახელმწიფო შემოსავლების სამმართველო ბრუნვის გადასახადებს ყოველთვის „ზევიდან" და საქონელბრუნვის გეგმების გაუთვალისწინებლად ადგენს. ამით აიხსნება, რომ ზოგ რაიონს პატარა გეგმა ეძლევა, ზოგს კი შეუფერებლად დიდი. ასეთი „გეგმიანობის" შედეგად მთელი რიგი რაიონები ბრუნვის გადასახადის წლიურ გეგმებს პირველ კვარტალშივე გადაჭარბებით ასრულებენ. მაგალითად, 1937 წლისათვის გურჯაანის რაიონს ბრუნვის გადასახადის გეგმა მიცემული ჰქონდა 140 ათასი მანეთის ოდენობით, რაიონმა კი ეს გეგმა უკვე პირველ კვარტალშივე გადაჭარბებით შეასრულა. ასეთი ცუდი გეგმიანობის „მსხვერპლი გახდნენ" გორის, ბაღდათის, ბორჩალოს, ჯულელისა და სხვა რაიონები.

ასევე მოწყვეტილი არიან, რაიონებს სახელმწიფო დაზღვევის, სახალხო მეურნეობის დაფინანსების, ადგილობრივი ბიუჯეტისა და სხვა სამმართველოები.

ამხ. ხოშტარიამ განსაკუთრებით მკაცრად გააკრიტიკა კომისარიატის მუშაობა რევიზიების მოხდენის დარგში. რევიზიები დღემდე ჯერ კიდევ ზერელეა, აპოლიტიკური და საქმოსნური. მაგალითად, ფინსახკომის მიერ საქ. მიწსახკომში გაგზავნილმა რევიზიამ ვერაფერი აღმოაჩინა, სცნო, რომ ყველაფერი რიგზე იყო. მეორე რევიზიამ კი იქ საფინანსო დისციპლინის დარღვევის დიდი ფაქტები აღმოაჩინა (მაგალითად, „უიმედო" დებიტორების დიდი ზრდა და სხვ.).

ამ დარგში ადგილი აქვს სხვა შეუწყნარებელ ფაქტებსაც; სარევიზიო კომისიებმა ბევრგან აღმოაჩინეს სისხლის სამართლის დანაშაულობანი, მაგრამ რევიზიის დამთავრების შემდეგ საქმე მაინც მთელი თვეობითა და წლობით ჭიანურდება (სამხრეთ-ოსეთი, აჭარა და სხვ.).

მომხსენებელმა აღნიშნა ნაკლოვანებანი დაბეგვრის, გადასახადების აკრეფის, შემნახველი სალაროების, სასოფლო საბჭოებში სარევიზიო კომისიების მუშაობის დარგში.

მოხსენების შემდეგ, როგორც საჭირო და მოსალოდნელი იყო, უნდა გაშლილიყო ნამდვილი ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა. მით უმეტეს, რომ ამხ. ხოშტარიამ მოკამათეებს პირდაპირ მიუთითა, პირველ რიგში საჭიროა თვით ფინსახკომის აპარატის კრიტიკა, რადგან ფინმუშაობის ჩამორჩენის მთავარი მიზეზი სუსტი ხელმძღვანელობაა. მიუხედავად ამისა, რაიონებიდან ჩამოსულმა ამხანაგებმა ფინსახკომის აპარატის მიმართ ასეთი კრიტიკული დამოკიდებულება ვერ გამოიჩინეს.

კამათში გამოსული ამხანაგები ლაპარაკობდნენ მხოლოდ თავიანთ თავზე. აღნიშნავდნენ დეფექტებს, მაგრამ არ ლაპარაკობდნენ იმ ღონისძიებებზე, რომელთა საფუძველზეც მუშაობა ძირფესვიანად უნდა გარდაიქმნას.

ასეთი სუსტი და არაფრის მთქმელი იყო ებანოიძის, ფარემუზაშვილის, დარჩიაშვილის, მონიავას და სხვათა გამოსვლები. ებანოიძე თბილისის შემნახველი სალაროების სამმართველოს სუსტ მუშაობას მარტო შტატის სიმცირით ხსნიდა. მან არაფერი სთქვა იმაზე, თუ კონკრეტულად რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მეანაბრეთა კულტ-მომსახურება გაუმჯობესდეს. მან თავისი სიტყვა საზეიმო დაპირებებით დაამთავრა.

აქტივის კრებამ ორ დღეს გასტანა. კრებაზე ადგილი ჰქონდა ბევრ გამეორებას, მარტო დეფექტების ჩამოთვლას, ნაკლოვანებების ახსნას „ობიექტური" მიზეზებით. გარდა თვით მომხსენებლისა, ფინსახკომის სამმართველოების მუშაობის გაკრიტიკება ყველამ ვერ „გაბედა".

შედარებით კრიტიკით გამოვიდა სამხრეთ-ოსეთის წარმომადგენელი ამხ. ბერძენია, რომელმაც აღნიშნა, რომ სულ პატარა საქმისათვის მას ხშირად რამდენიმე დღეს აცდენენ, საქმეს უჭიანურებენ, სამი წლის განმავლობაში ფინსახკომიდან არავინ ჩამოსულა და დახმარება არ გაუწევია.

ამხ. მიქელაძემ კი პირდაპირ განაცხადა, რომ რევიზიის დარგში საქმეების ბოლომდე მიუყვანლობა ნაწილობრივ თვით ფინსახკომის ხელმძღვანელის მიზეზითაც ხდება. რევიზიებს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს.

კრიტიკული იყო ამხ. გოგიას გამოსვლა. მან სთქვა, რომ ფინსახკომის ხელმძღვანელობა ნაკლებ ყურადღებას აქცევს სპეცბანკების მუშაობას, კერძოდ კი სას.-სამეურნეო ბანკს.

კამათის დასასრულს, შინაარსიანი სიტყვით გამოვიდა საქ. ფინსახკომის მოადგილე ამხ. წულუკიძე. მან არადამაკმაყოფილებლად სცნო ფინსახკომის აპარატის კრიტიკა და კონკრეტული მაგალითებით დაამტკიცა, რომ სამმართველოები არ იცნობენ რაიონების ეკონომიკას, გეგმებს ადგენენ რაღაც „დინამიკური კოეფიციენტების" და არა რეალურ შესაძლებლობათა საფუძველზე. ამით აიხსნება, რომ საქართველოს თითქმის ყველა რაიონს აქვს ან გადიდებული, ან შემცირებული გეგმა.

ფინსახკომმა უმოკლეს დროში უნდა აღმოფხვრას დაგეგმვის ეს ყოვლად უვარგისი მეთოდები და უფრო მეტად დაუახლოვდეს სინამდვილეს, შეისწავლოს ჩვენი ეკონომიკის შესაძლებლობანი.

დასასრულ, ამხ. ს. ხოშტარიამ შეაჯამა თათბირის მუშაობა.

კ. მაჭარაშვილი.

იუსტიციის ორგანოებმა უნდა გარდაქმნან მუშაობა

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შედეგებისა და საქართველოს იუსტიციის ორგანოების ამოცანების შესახებ იუსტიციის სახალხო კომისარიატის აქტივის კრებაზე კრიტიკული და თვითკრიტიკული მოხსენებით გამოვიდა საქ. სსრ იუსტიციის სახალხო კომისარი ამხ. ვ. მეტონიძე. როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში გამოსულმა ამხანაგებმა გაამახვილეს ყურადღება უზენაეს სასამართლოში მოკალათებულ ხალხის მტრების მავნებლურ და დამანგრეველ მუშაობაზე.

უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარედ დღემდე იყო მავნებელი ვანო ბოლქვაძე, რომელიც დაკავშირებული იყო ხალხის მტრებთან ტოროშელიძესთან, კიკნაძესთან. ბოლქვაძე თავისი ტროცკისტულ-ჯაშუშური მუშაობით ძირს უთხრიდა საბჭოთა მართლმსაჯულებას. გამოჰქონდა არასწორი და ცალმხრივი დადგენილებანი და ამით უკმაყოფილების განწყობილებას ჰქმნიდა ხალხში. ბოლქვაძე და მისი დამქაშები ტროცკისტები გრამიტონ სვანიძე, ბახტაძე და სხვ. იცავდნენ ხალხის მტრებს და გამფლანგველებს. ბოლქვაძე მაჯლაჯუნასავით აწვა უზენაეს სასამართლოს და პარტიული მუშაკების დისკრედიტაციას ეწეოდა. იგი ყოველმხრივ აბიწროვებდა და ხელს უშლიდა მუშაობაში სპეც. კოლეგიის პროკურატურის მუშაკებს.

კიროვის სახელობის რაიონის სასამართლომ გაარჩია მოქ. გრიგორიანის საქმე და მას მიუსაჯა ერთი წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მაგრამ დადგენილებაში შეცდომით ჩასწერეს 2 წელი და 6 თვე. ეს შეცდომა აღმოაჩინა უზენაეს სასამართლოს მუშაკმა ამხ. ზავლიაშვილმა, რომელიც ბოლქვაძემ დაიბარა და უთხრა: თავი დაანებე რევიზიას, შენ ვინ გკითხავს, ჩვენ რას ვაკეთებთო.

ხალხის მტერმა დ. მახარაძემ სახელმწიფოს თორმეტი მილიონი მანეთის ზარალი მიაყენა. ის გაასამართლა ტროცკისტმა გრ. სვანიძემ. მახარაძეს ეხმარებოდა მ. ტოროშელიძე. ტოროშელიძემ და სვანიძემ მოილაპარაკეს და მახარაძეს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. შემდეგ - შეუფარდეს ამნისტია და გაანთავისუფლეს.

ბოლქვაძის მავნებლურმა მუშაობამ სასამართლოებში მეტად ცუდი ატმოსფერო შექმნა. მთელ რიგ სასამართლოებში უხეშად არღვევდნენ საბჭოთა რევოლუციურ კანონიერებას. ორდენოსან სტახანოველს აიშე გურგენიძეს კლასობრივმა მტრებმა საწამლავი დაალევინეს. ეს საქმე აშკარა პოლიტიკური იყო, მაგრამ რაიონულმა და შემდეგ აჭარის პროკურატურამ და სასამართლომ დამნაშავეებს ეს ხულიგნობად ჩაუთვალეს.

კამათში გამოსული ორატორები აღნიშნავდნენ, რომ ზოგიერთი რაიონის სასამართლოს აპარატი ძალზე დანაგვიანებულია. საგარეჯოს რაიონის სახალხო მოსამართლე ჩომახიძე ბოროტმოქმედი აღმოჩნდა. იუსტიციის სახალხო კომისარიატმა ჩაატარა სასამართლო ორგანოების ატესტაცია. 73 მოსამართლე ყოველმხრივ შემოწმებულ იქნა და გამოირკვა, რომ 34 გამოსაცვლელია, 15 გადასამზადებელია და 5 უფრო დაბალ სამუშაოზეა გადასაყვანი. ამის შემდეგ ცხადია, თუ რა ხარისხის იქნებოდა მათ მიერ წარმოებული საქმე.

სამტრედიის რაიონის მოსამართლე ფირცხალავა თორმეტი წელიწადია ამ თანამდებობაზე მუშაობს, მაგრამ, როგორც კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, ამ ბოლო დროს გამოირკვა, რომ ის ამ საქმისათვის ყოვლად უვარგისია. ასევე ითქმის გეგეჭკორის რაიონის მოსამართლეზე, რომელმაც თხის ყურის მოჭრისათვის გლეხი ოთხი თუმნით დააჯარიმა და სამი თვით იძულებითი მუშაობა მიუსაჯა.

ასეთ კურიოზებს მრავლად აქვს ადგილი მოსამართლეთა მუშაობაში. კამათში გამოსულმა ამხ. ბ. მელიქიძემ სამართლიანად აღნიშნა, რომ ზოგიერთი საქმის გარჩევა 8—10 წლობით ჭიანურდება. სტალინის რაიონის სასამართლომ რვა ათასი მანეთის გაფლანგვის საქმე 7-ჯერ გადასდო. ორატორებმა მრავალი ფაქტებით დაამტკიცეს, რომ როგორც რაიონულ სასამართლოებში, ისე უზენაეს სასამართლოში ადგილი აქვს ბიუროკრატიზმს. საქმისადმი აშკარა მავნებლურ დამოკიდებულებას უნდა მიეწეროს უზენაეს სასამართლოს წევრის ამხ. პაპაიანის განცხადება, რომ ის არ კითხულობს საქმეებს და ისე გამოაქვს დადგენილება.

აქტივის ოთხი დღის მუშაობამ ნათლად დაგვანახვა საქართველოს იუსტიციის ორგანოების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. ჯერ კიდევ არ არის გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯი საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმისა და საქ. ბოლშევიკების X ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი იმისათვის, რომ სასამართლო ორგანოებში აღმოიფხვრას კონტრრევოლუციონერ ვანო ბოლქვაძის მავნებლური მუშაობის შედეგები. კამათში გამოსული ორატორები აღნიშნავდნენ, რომ ძლიერ დანაგვიანებულია დამცველთა კოლეგია. დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმი ორწელიწადნახევარია არჩეული და ამ ხნის განმავლობაში ერთი თათბირიც არ მოუწვევია. სასამართლოს ორგანოებიდან გაძევებული არამზადები (ზამბახიძე, მხალაძე, გურიელი და სხვ.) შეძვრნენ დამცველთა კოლეგიაში და ხელი მიჰყვეს ქრთამების აღებას. დამცველ მიხ. ლვამიჩავას უპასუხისმგებლო მოქმედების შესახებ მრავალი საჩივარი შემოვიდა როგორც დამცველთა კოლეგიაში, ისე რესპუბლიკის პროკურატურაში, მაგრამ სათანადო ზომები არავის მიუღია. ლვამიჩავას გამოცხადებული აქვს ოცამდე გაფრთხილება, საყვედური და სხვ., მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც იმყოფება დამცველთა კოლეგიაში. კრებაზე აღნიშნეს, რომ სისხლის სამართლის დამნაშავე გველესიანი ერთხელ გარიცხეს დამცველთა კოლეგიიდან, მაგრამ შემდეგ ისევ მიიღეს.

თათბირზე გამოირკვა, რომ იუსტიციის ორგანოები კადრების ძლიერ სიმცირეს განიცდიან. ორატორები (ვ. მეტონიძე, გ. სოსელია, ღევდარიანი და სხვ.) აღნიშნავდნენ, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტი მეტად სუსტ კადრებს იძლევა. უნივერსიტეტის რექტორი სათანადო ხელმძღვანელობას არ უწევს იურიდიულ ფაკულტეტს, რის გამო სწავლების ხარისხი დაბალია.

თათბირის მუშაობის ერთერთ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ არც მომხსენებელი და არც კამათში გამოსული ორატორები საფუძვლიანად არ შეხებიან ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიც არის სასოფლო და საწარმოო საამხანაგო სასამართლოების მუშაობა. აგრეთვე სრულიად გამოსტოვეს სახალხო მსაჯულებთან დამოკიდებულების და მათი დახმარების საკითხი.

სასამართლო ორგანოების მომავალი არჩევნების სანიმუშოდ ჩატარებისათვის აქტივის კრებამ დასახა სათანადო ღონისძიებანი, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა გატარდეს.

შ. გოგიავა

ჭიათურის მაღაროები, რომლებიც მოთავსებულია მთებში, უგზოობის გამო (ადგილმდებარეობას რელიეფი) გამამდიდრებელ ფაბრიკებთან და რკინიგზასთან დაკავშირებული არიან საჰაერო საბაგირო გზით.

სურათზე: რგანის საჰაერო საბაგირო გზა ჭიათურის მაღაროებში

ფოტო კადეტოვასა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

შეკითხვა

საქართველოს განათლების სახალხო კომისარს ამხ. კ. ი. ჭკუასელს

საქართველოს განსახკომმა დღემდის ვერ უზრუნველჰყო ცალკე სასწავლო დისციპლინების მეთოდიკათა გამომუშავება, ერთიანი სასკოლო შინაგანაწესის დამუშავება, მოწაფეთა ცოდნის შემოწმების ნორმების დადგენა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების ორგანიზაცია, ერთიანი სასკოლო დებულების შემუშავება.

ხსენებული საკითხები პედაგოგიური ფრონტის მტკივნეულ უბანს წარმოადგენენ და ამიტომ ჩვენ გვინდა საქართველოს განსახკომს რამდენიმე კითხვით მივმართოთ:

1) რატომ არ გაატარა განსახკომმა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1932 წლის 25 აგვისტოს დადგენილების ის პუნქტი, რომელშიც აღნიშნულია: „წინადადება მიეცეთ განსახკომებს სასწრაფოდ დაამუშაონ მეთოდიკები ცალკე დისციპლინებისა და სხვადასხვა სახის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ".

ხომ ყველასათვის ცნობილია, რომ დადგენილების მეხუთე წლის თავზე საქართველოს განსახკომს ამ მიმართულებით არაფერი გაუკეთებია. სკოლებს დღესაც არა აქვთ ქართული გრამატიკის სწავლების მეთოდიკა, ანბანის მეთოდიკა, დამწერლობის დედნები, ისტორიისა და კონსტიტუციის სწავლების მეთოდიკა და სხვ. ნუთუ საქართველოს განსახკომს არ შეეძლო გამოეყენებინა რუსეთის სკოლების დიდი გამოცდილება მეთოდიკების დამუშავების დარგში? როდის გაატარებს ცხოვრებაში განსახკომი ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილებას და როდის უზრუნველჰყოფს სკოლებს შესაფერისად დამუშავებული მეთოდიკებით?

2) სტაბილური სახელმძღვანელოების გამოცემის საკითხი ჯერ კიდევ არ არის სავსებით მოწესრიგებული. ცნობილი ფაქტია ქართული ლიტერატურის სწავლებისას სოციოლოგიური სქემებით შემოფარგვლა, სქოლასტიციზმის არტახებში მოქცევა, ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრული ღირებულების გაურკვევლობა, ლიტერატურის თეორიის კურსის შეუსწავლელობა და სხვ. რა არის ამის მიზეზი?

სკოლებს არა აქვთ ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელო, მასწავლებელი ნაკლები წინააღმდეგობის გზით მიდის. ვერ ერკვევა ლიტერატურის სპეციფიკის საკითხებში, პოეტურ ხერხთა ნაირგვარობაში, სტილისტურ თავისებურობაში. ისმება საკითხი — ახალი სასწავლო წლის დასაწყისისათვის ფიქრობს თუ არა განსახკომი ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელოს და ლიტერატურის თეორიის მეთოდიკის გამოშვებას?

3) სკოლებში დღემდის სჭარბობს ზეპირ-სიტყვიერი წიგნური სწავლება: სკოლებს არა აქვთ თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალები, ექსპონატები, დიაპოზიტივები, მათემატიკური ტაბულები, ისტორიული რუკები, ენის განსავითარებელი პლაკატები, ორთოგრაფიული ლექსიკონები და სხვ. ვსვამთ საკითხს — ყველაფერი ეს 1937/38 სასწავლო წელს მაინც გვექნება თუ არა?

4) მოწესრიგებული არ არის მოსწავლეთა აკადემიური წარმატების შეფასების საკითხი. ადგილი აქვს ლიბერალიზმსა და წარმატების განზრახ გადიდების ცდებს. მიზეზი მარტივია: საქართველოს განსახკომს არ გაუტარებია ცხოვრებაში ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნა — შემუშავდეს „მოსწავლეთა წარმატების შეფასების ყველა სკოლისათვის სავალდებულო ნორმები იმ ანგარიშით, რომ ცოდნის ერთიდაიგივე დონე ერთნაირად ფასდებოდეს ყველა სკოლაში". დროა განსახკომმა გამოიმუშავოს მტკიცე საზომი და ცხადი ნორმები მოსწავლეთა აკადემიური წარმატების შეფასებისათვის. როდის მოხდება ეს?

5) სწავლა-აღზრდის მოწესრიგებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასწავლო პროცესის ორგანიზაციაში გარკვეულობის შეტანას, სასკოლო რეჟიმის განმტკიცებას, ერთიანი სავალდებულო შინაგანაწესის შემოღებას, სკოლის სააღრიცხვო - პედაგოგიური მეურნეობის მოწესრიგებას და სხვ. ამ მხრივ ცენტრალური კომიტეტი 1935 წლის 3 სექტემბრის დადგენილებით გარკვეულ მითითებას იძლეოდა, მაგრამ საქართველოს განსახკომს დღემდის ვერ მოუგვარებია ეს საკითხი, რის გამო ფერხდება სასკოლო მუშაობა, სკოლაში ირღვევა წესრიგი, ბევრ შემთხვევაში მოუწესრიგებელია სასკოლო პედაგოგიური მეურნეობა, გართულებულია აღრიცხვის ფორმები და სხვ. ყველა ეს მასწავლებელთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

რას გვეტყვით და რას გაგვიკეთებთ აღნიშნული საკითხების მოგვარების მხრივ? მასწავლებლობა ელის თქვენს სიტყვასა და საქმეს.

ნ. ჭელიძე.

მე-14 სკოლის დირექტორი.

დაზვერვა და კონტრდაზვერვა

ავბედითი ფრონტი

ერთხელ, 1913 წლის ადრე გაზაფხულზე, ვენაში შტაბის ოთხი ოფიცერი დერეფნის კართან იდგა; ტრაგიკული დაძაბულობით ისინი რაღაცას ყურს უგდებდნენ და ელოდნენ. ელოდნენ რევოლვერის გავარდნას, და, როდესაც რევოლვერი გავარდა, მათ შორის უფროსმა, პოლკოვნიკმა, კარი გააღო, და ყველანი ერთიერთმანეთის მიყოლებით ოთახში შევიდნენ. სავარძელში ფანჯარასთან იწვა კაცი რომელმაც რევოლვერი გაისროლა. ეს იყო, როგორც მუნდირით სჩანდა, მთავარი შტაბის ოფიცერი. მის ფეხთან ეგდო სახაზინო ნიმუშის რევოლვერი. ოფიცერი მკვდარი იყო. თვითმკვლელობით მან ერთი წლით გადასდო რუსეთისათვის ომის გამოცხადება, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ავსტრია-უნგრეთის სარდლობისათვის.

ამ თვითმკვლელობის ფაქტს ცენტრალური ევროპის ოფიციალურ წრეებში საიდუმლოდ იხილავდნენ მთელი სეზონის განმავლობაში. კაცი რომელმაც თავი მოიკლა, იყო პოლკოვნიკი რედლი, ავსტრია-უნგრეთის იმპერიის საიდუმლო სამსახურში მივლინებული. იგი სათავეში ედგა კონტრდაზვერვას და თავისი სამშობლო გაჰყიდა. რუსეთის სამხედრო ატაშე, პოლკოვნიკი ზუბოვი, იძულებული გახდა ექვსი საათის განმავლობაში დაეტოვებინა ავსტრია-უნგრეთი. შტაბის ოფიცრებმა ყველაფერი მოიმოქმედეს, რაც კი შეეძლოთ, რათა რედლს შეეგნო, თუ რა მდგომარეობაში ჩააყენა მან სამშობლო თავისი გამცემლობით. ერთი მათგანი, დამბაჩის ცნობილი მსროლელი, დანიშნულ იქნა იმისათვის, რომ გზიდან ჩამოეშორებინა პოლკოვნიკი, თუ მას გამბედაობა უმტყუნებდა.

სულ მცირე, ოთხი წლის განმავლობაში რედლი სისტემატურად უმჟღავნებდა რუსეთს მთელ რიგ სამხედრო საიდუმლოებებს. მან მიჰყიდა რუსეთს მობილიზაციის ახალი გეგმა და ისეთ ციხე-სიმაგრეთა თავდაცვითი ნაგებობების ნახაზები, როგორიც იყო პერემიშლი და კრაკოვი. იგი გულმოდგინედ უმჟღავნებდა მეფის საიდუმლო პოლიციას ავსტრია-უნგრეთის იმ აგენტებსაც კი, რომლებსაც პირადად იგი ჰგზავნიდა რუსეთში. მაგრამ ვინაიდან რედლმა თვითონ მოიყვანა სისრულეში თავისი სასიკვდილო განაჩენი, მისთვის მალე გამონახეს მრავალი გასამართლებელი საბუთი. მთავრობამ მთელი თავისი გავლენა იხმარა, რათა მიეფუჩეჩებინა ეს ეპიზოდი.

ნახევრადინფორმირებულ პირებს მიაჩნდათ, რომ რედლი დაიღუპა, რათა გადაერჩინა თავისი სამშობლო დამარცხებისაგან, და ეს, დამოუკიდებლად მისი გამცემლობისა, — ნამდვილი სიმართლეა, რამდენადაც ავსტრია-უნგრეთი სრულებით არ იყო მომზადებული: მას მილიონები უნდა დაეხარჯა იმ გეგმების შესაცვლელად, რომლებიც რუსეთმა შეიტყო. რედლის მომხრენი ამტკიცებდნენ, რომ ომს არავინ არ მოელოდა და ის ჰყიდდა რუსეთზე მხოლოდ იმას, რაც ომის დაწყების მომენტისათვის ყოველგვარ მნიშვნელობას დაჰკარგავდა. 1914 წ. აგვისტოსათვის რედლის მეგობრებმა თითქმის მოახერხეს შეექმნათ მისთვის უანგარო კაცის ხსოვნა.

რუსეთის არმია შემოერტყა პერემიშლს, მაგრამ ეს ციხე-სიმაგრე მხოლოდ ხანგრძლივი ალყის შემდეგ აიღო. როგორც ვხედავთ, ავსტრიის მთავარმა შტაბმა ერთი წლის განმავლობაში ყველაფერი გააკეთა, რაც კი შეეძლო, რათა აეშორებინა იმპერიისათვის რედლის გამცემლობით შექმნილი საფრთხე.

რუსეთის სამხედრო ატაშეს რომ ვერ მოეხერხებინა ავსტრიის ოფიცრის მოსყიდვა, საჭირო ცნობების მიღება მზვერავებს დაევალებოდათ. მათ დასჭირდებოდათ დიდი მოხერხება და თავგამოდება იმისათვის, რომ გაეგოთ ყველაფერი, რის მიყიდვაც შეეძლო რედლს.

მშვიდობიანობის დროს შპიონაჟი სცვლის საომარ მოქმედებას, მაგრამ იგი უფრო ნაკლებად ჯდება. ომში მზვერავი წარმოადგენს ყველაზე ძლიერ იარაღს, ერთადერთ ძველ იარაღს, რომელსაც თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს.

ომის თანამედროვე საშუალებებში ჩვენ გაუმჯობესებათა ისეთ ტემპს მივეჩვიეთ, რომ სიახლენი, რომლებმაც უზრუნველჰყვეს გამარჯვება ერთ ბრძოლაში, მიჩნეულია არასაკმარისად და მოძველებულად შემდეგ ბრძოლაში. მაგრამ სამხედრო ხელოვნებაში მომხდარი ყველა ცვლილების დროს მზვერავი გაუმჯობესებელი რჩებოდა. თუმცა დაწესებულება, რომელსაც ამჟამად არმიის დაზვერვითი განყოფილება ეწოდება, სამხედრო ინფორმაციას მთელი რიგი წყაროებიდან ჰკრეფს, მაგრამ ძირითადად იგი თავის მუშაობას ამყარებს მზვერავებისა და საიდუმლო აგენტების გამბედაობასა და უნარიანობაზე. რარიგ მნიშვნელოვანიც უნდა იყოს კარგი ორგანიზაცია მოწინააღმდეგის ზურგში, მთავარი როლი მაინც თვით მზვერავს ეკუთვნის. მოხერხებული საიდუმლო აგენტის მიერ ნაშოვნი ცნობები მისი სამშობლოს მთავრობამ შეიძლება მის წონა ოქროზე ათიათასჯერ უფრო ძვირად შეაფასოს.

ფრანგული ცნობებით, ერთმა მოხერხებულმა მზვერავმა ქალმა მსოფლიო ომის პერიოდში მოსპო თექვსმეტი ტრანსპორტი და სავაჭრო გემი. ასეთი შედეგი, რომელიც გაცილებით უფრო დამღუპველია, ვიდრე ყოველი სახაზო გემის მოქმედება, გვაფიქრებინებს, რომ მზვერავები არათუ მძლავრ იარაღს წარმოადგენენ, რომელიც უბადლოა ისტორიის მთელ მანძილზე, არამედ შედარებით იაფ იარაღსაც. სახაზო გემის აგება, აღჭურვა და მისი შენახვა რამდენიმე წლის განმავლობაში, სანამ იგი არ მოძველდება, ღირს, სულ მცირე, ასი მილიონი დოლარი, მაშინ როცა საუკეთესო საიდუმლო აგენტი-პატრიოტები შეუდარებლად უფრო იაფად ჯდებიან. მზვერავთა მეტი ნაწილი, დამოუკიდებლად თავისი შრომის სახიფათო ხასიათისა, შედარებით მცირე ანაზღაურებას ღებულობს. ყოველ მთავრობას მრავალი აგენტი ჰყავს.

მშვიდობიან დროს მზვერავები და საიდუმლო აგენტები სავსებით ისევე იქცევიან, როგორც ომიანობის დროს, მაგრამ მეტი გულდაჯერებით, და არ ერიდებიან ადგილიდან ადგილზე გადასვლას.

ამ დროს მზვერავი სიცოცხლეს საფრთხეში არ აგდებს, ვინაიდან მოწინააღმდეგენი მეზობლები ხდებიან და მოსახლეობის ეჭვიანობა საგრძნობლად კლებულობს. მზვერავის შენიღბვა და მისი ხერხები გაცილებით უფრო ძნელი გამოსააშკარავებელია. მზვერავი ამ დავალებათა შესრულებასთან ერთად, უეჭველია, ღებულობს რამდენიმე სავსებით ლეგალურ საქმიან დავალებას. იმ დაძაბულობასა და საფრთხესთან შედარებით, რაც გარდუვალია ომიანობის დროს, ასეთი მუშაობა ნამდვილ დღესასწაულს წარმოადგენს თვითეული პროფესიონალი საიდუმლო აგენტისათვის.

ომის პერიოდებში მსოფლიო გაჩიჯნულია გარდუვალი ბარიერებით. გადასვლა-გადმოსვლას კონტროლს უწევენ, ფოსტაზე სამხედრო ცენზურაა დაწესებული, და მზვერავის მუშაობას უპირდაპირდება კონტრდაზვერვის მუშაობა: ორგანიზებული მეთვალყურეობა მზვერავებზე, სამოქალაქო მოსახლეობის სიფხიზლე, რაც საერთო ანგარიშით შეიძლება დაბრკოლება გახდეს ყველაზე გამოცდილი მზვერავის მუშაობაში.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ საომარი მოქმედების შეწყვეტისას დაზვერვის მუშაობა არ სწყდება. სახელმწიფოები თვალყურს ადევნებენ ერთმანეთს დაუძინებელი მტრების მთელი გულმოდგინებით. საიდუმლო სამსახურის პოლკებს ხან ამცირებენ, მაგრამ არასოდეს არ ახდენენ მათს დემობილიზაციას. არავითარი საზავო ხელშეკრულების მიხედვით მათ სახლში არ გაუშვებენ ხოლმე. ვერსალის ხელშეკრულება მხოლოდ სდგებოდა, იმ ჯაჭვზე, რომელმაც შემდეგ გერმანია შებოჭა, მხოლოდ მსჯელობა იყო, გამარჯვებულმა მოკავშირეებმა კი ყურადღებით დაუწყეს ერთმანეთს თვალყურის დევნება, თითქოს ეს გამარჯვებულის როლის შენარჩუნების ერთადერთი საშუალება იყო.

შპიონაჟი თავისი დედაარსით წარმოადგენს სხვის ქვეყანაში შეჭრის უკანონო აქტს. მაგრამ სახელმწიფოები, რომლებიც თავის დანიშნულებად სთვლიან მშვიდობიანობისა და წესრიგის დაცვას, განუწყვეტლივ ხელს უწყობენ შპიონაჟს. ავბედით ფრონტზე დროებითი ზავის დადება არ ხდება. ეს იმას ნიშნავს, რომ თუმცა ჩვენი უმრავლესობა ცხოვრობს და მუშაობს, მიისწრაფის რა თავისი კეთილდღეობისაკენ და იცავს რა ინდივიდუალური პატიოსნების ერთგვარ წესებს, იატაკქვეშეთში სწარმოებს განუწყვეტელი ბრძოლა, ინტრიგები, რომლებსაც ყველანი ბუნებრივად და ამავე დროს უკანონოდ სთვლიან.

ოთხ თვეში 1928 წლის 1 მარტამდე დიდბრიტანეთში, საფრანგეთში, პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში მსჯავრდადებულ იქნა შპიონაჟის ბრალდებით ჩვიდმეტი კაცი. მიუხედავად ამისა, ახლაც, იმ შემთხვევებში, როდესაც საზღვარგარეთ მიემგზავრება ყოფილი ოფიცერი — მზვერავი ან რომელიმე სათადარიგო ოფიცერი, რომელიც სარგებლობს იმ სამსახურის დაზვერვითი განყოფილების ნდობით, სადაც იგი თავის დროზე ირიცხებოდა, მას დაუყოვნებლივ აძლევენ მთელ რიგ ინსტრუქციებს. წასვლისას იგი ღებულობს კითხვების ნუსხას უცხოეთის იმ სახელმწიფო არმიისა და ფლოტის დარგში (მისი სპეციალობის მიხედვით), სადაც იგი იმოგზაურებს; ამ კითხვებზე გაცემულმა პასუხებმა უნდა მისცეს დაზვერვითს განყოფილებას მისთვის საჭირო დამატებითი ცნობები. დაზვერვითს განყოფილებას შემდეგ შეუძლიან ყველა არწმუნოს, რომ არასოდეს არაფერი ამის მსგავსი არ გაუგონია, რომ ინსტრუქციები არაოფიციალური წესით იყო მიცემული, მაინც ყველა პირველხარისხოვან და მეორეხარისხოვან სახელმწიფოში ეს ყოველდღიურ პრაქტიკად იქცა. მოგზაური სათადარიგო ოფიცერი ყოველთვის როდია ვალდებული ფარულად მოქმედებდეს. ის, რასაც იგი აკეთებს, ყოველთვის როდი შეიძლება დახასიათებულ იქნას, როგორც საძრახისი მოქმედება, მისი მუშაობა ძირითადად შეიძლება განხილულ იქნას როგორც დამატება იმ დაკვირვებისა, რასაც ეწევიან სამხედრო და საზღვაო ატაშეები, რომლებსაც „აკრედიტებული ჯაშუშები" ეწოდებათ.

არც თუ ისე დიდიხანია მას შემდეგ, რაც ევროპის ერთ სახელმწიფოს შესთავაზეს უაღრესად მნიშვნელოვანი საზღვაო გამოგონება. ამ გამოგონების გამოყენების შეუცილებელი უფლებისათვის გამომგონებელმა მოითხოვა დიდი თანხა — მილიონი გირვანქა სტერლინგი. სახელმწიფო მოღვაწემ, რომელსაც ბიუჯეტისათვის უნდა დაემატებინა ეს მილიონი, ხოლო შემდეგ ეს ფული ეშოვნა, უარი სთქვა გამოგონების შესყიდვაზე. მან ცინიკურად განაცხადა: „დაე რომელიმე სხვა სახელმწიფომ იყიდოს. ჩვენ შეგვიძლიან ცოტა დავიცადოთ. ჩვენი აგენტები მალე მოიპარავენ მას და მაშინ ჩვენ შეგვეძლება თითქმის მუქთად გამოვიყენოთ იგი". ეს ფხიზელი რეალისტი ამჟამად სათავეში უდგას მსოფლიოს ერთერთ უდიდეს ბანკს. მისი დამოკიდებულება სახელმწიფო დაზვერვის პერსპექტივებისადმი მშვიდობიან დროს (ეს ამბავი 1914 წლამდე მოხდა) აღნიშვნის ღირსია.

თანამედროვე ომი მოითხოვს ორგანიზებულ დაზვერვითს სამსახურს და ამის შედეგად მეორე სამსახურს — კონტრდაზვერვას. ყოველ სახელმწიფოს, რომელსაც შეუძლიან ომი აწარმოოს, უნდა ჰყავდეს მზვერავები; რათა წინააღმდეგობა გაუწიოს თავისი მეზობლების საიდუმლო წამოწყებებს, მას აგრეთვე უნდა ჰყავდეს კარგად მომზადებული და გამოცდილი აგენტები, რომლებსაც უნარი შესწევთ მოახდინონ სხვა სახელმწიფოთა დაზვერვის ნეიტრალიზაცია. მზვერავი არღვევს რა სხვა სახელმწიფოთა უფლებებს, ომის დროს რისკს ეწევა თავისი სიცოცხლით, მშვიდობიანობის დროს კი — გადასახლებით, საპყრობილეში დაპატიმრებით და გარისხვით, იმიტომ, რომ მას არავითარი დამცველი არა ჰყავს. მთავრობებს არ შეუძლიანთ მონაწილეობდნენ უკანონო წამოწყებებში. ისინი სასტიკად სდევნიან უცხოეთის ჯაშუშებს. ამიტომ ისინი სჯიან თავის აგენტებს იმით, რომ ხელს იღებენ მათზე, როდესაც ისინი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდებიან.

მეორე მხრივ, ცხადია, რომ არმიის ან საზღვაო შტაბმა როგორც მშვიდობიანობის, ისე ომიანობის დროს უნდა იცოდეს ყველაფერი, რის გაგებაც შეიძლება ყველა შესაძლო მოწინააღმდეგის შესახებ. ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ცუდი დაზვერვა ომს იწვევს; მან ყოველ შემთხვევაში ხელი შეუწყო უკანასკნელი ომის წარმოშობას. ცნობილია, რომ საბრძოლო განწყობილება ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის გენერალურ შტაბებში გამოწვეული იყო ინფორმაციებით, რომლებიც მიღებულ იქნა 1914 წ. ზამთარში და ადრე გაზაფხულზე გამცემლებისა და ჯაშუშებისაგან რუსეთის სამხედრო სამინისტროდან. მოხსენებების მიხედვით, მეფის არმია სრულებით დეზორგანიზებული იყო. მაშ რატომ არ უნდა დაეჩქარებინათ სერბიისათვის ულმობელი და უმოწყალო ულტიმატუმის წარდგენა?

ყოველივე ეს ტრაგიკული შეცდომა იყო. რუსეთმა ისე სწრაფად მოახერხა რენენკამპფისა და სამსონოვის არმიების მობილიზაცია, რომ თავისი მოკავშირეები გააკვირვა. და გერმანიის სარდლობამ მას შემდეგ მიიჩნია, რომ მისი დაზვერვითი სამსახური სასტიკად სცდებოდა ბელგიელთა პოტენციური ძალების შეფასებაში.

მზვერავთა ცნობებით, დიდბრიტანეთი უიმედოდ ჩაეფლო იმ ძნელი პრობლემების გადაჭრაში, რომლებიც მის წინაშე დააყენა მუშათა მოძრაობამ და ირლანდიაში მომხდარმა აჯანყებამ. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც არ გამართლდა ის ცნობები, რომლებიც იშოვნა მსო-

(გაგრძელება იხ. მე-4 გვ.)

რედაქციისაგან:

ჩვენ ვაქვეყნებთ ამერიკელი მწერლის რ. როუანის წიგნის „დაზვერვა და კონტრდაზვერვა" შემოკლებულ თარგმანს ინგლისურიდან. რედაქცია იმედი აქვს, რომ ამით იგი რამდენადმე დაეხმარება თავის მკითხველებს—პარტიულ და უპარტიო ბოლშევიკებს—გაეცნონ „უცხოეთის მზვერავ ორგანოთა მავნებლურ - დივერსიული და ჯაშუშური მუშაობის მიზნებსა და ამოცანებს, პრაქტიკასა და ტექნიკას" (ი. სტალინი).

„პრავდა"

პროფ. პლეტნიოვი — სადისტი

„პრავდის" 8 ივნისის ნომერში დაიბეჭდა პროფ. პლეტნიოვის — ადამიანის ქურქში გახვეული მხეცის, სადისტის მამხილებელი წერილი.

პროფ. პლეტნიოვმა, გათახსირებულმა და გარყვნილმა, ისარგებლა პაციენტი-ქალის მოქ. ბ-ს ნდობით, მოახდინა მასზე აღმაშფოთებელი ძალადობა, დაუკბინა მკერდი, დაავადმყოფა განუკურნებელი სენით.

მოქ. ბ. 1934 წელს გადაიტანა მძიმე ავადმყოფობა — ტიფი, რის შემდეგაც იგი დასნეულდა გულის მოქმედების მოდუნებით. ერთ საღამოს მოქ. ბ. წავიდა პროფ. პლეტნიოვთან, რომელიც საკმაოდ ავტორიტეტიან მკურნალად იყო მიჩნეული. გათახსირებულმა პროფესორმა ავადმყოფი ქალი დაიბარა ღამის 12 საათისათვის. ქალი მივიდა. პლეტნიოვმა ავადმყოფი შეიყვანა სამუშაო კაბინეტში და მოახდინა მასზე სადისტური ძალადობა.

პროფ. პლეტნიოვმა, რომელსაც სურდა ამ თავისი დანაშაულის მიჩქმალვა, თვითვე დაუწყო ქალს დაკბენილი მკერდის მკურნალობა, თუმცა ეს მისი სპეციალობა არ იყო. ბოლოს მოქ. ბ-ს დაკბენით მიყენებული ჭრილობა გაურთულდა, იგი ქრონიკულ იარად გადაექცა, და ქალმა შრომის უნარი დაჰკარგა.

გათახსირებულმა პლეტნიოვმა მოინდომა როგორმე თავიდან მოეშორებინა თავისი მსხვერპლი, დანაშაულის გამოსასყიდად მას ფულიც კი შეაძლია და როდესაც ამით მიზანს ვერ მიაღწია, გადასწყვიტა შეშლილთა სახლში მოეთავსებინა იგი. პლეტნიოვი მოქ. ბ-ს არწმუნებდა, რომ მისი გადარჩენა არ შეიძლება და უმჯობესია თავი მოიწამლოს.

გაწამებულმა და გაუბედურებულმა ქალმა გაამჟღავნა სადისტი პროფესორის ველურობა.

საბჭოთა კავშირის პროკურორის ამხ. ვიშინსკის განკარგულებით დაწყებულია პროფ. დ. პლეტნიოვის მხეცური საქციელის გამოძიება.

○

სადისტ დ. პლეტნიოვის დანაშაულებამ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია მოსკოვისა და მთელი საბჭოთა კავშირის სამედიცინო მუშაკებს შორის. ექიმები, პროფესორები, სტუდენტები სამარცხვინო ბოძზე აკრავენ საბჭოთა მედიცინის მუშაკთა ოჯახის მახინჯ წევრს.

მოსკოვის სამედიცინო დაწესებულებებში — მოსკოვის პირველ თერაპევტიულ კლინიკაში, ქირურგიულ კლინიკაში, ფიზიოლოგიისა და ფარმაკოლოგიის ინსტიტუტში, მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტში, ლენინგრადის, ხარკოვის, კიევის, ოდესის, ბაქოს და მთელ რიგ სხვა დიდ ქალაქების სამკურნალო-პროფილაქტიკურ და სამედიცინო დაწესებულებებში ამჟამად მიმდინარეობს მედმუშაკთა საერთო კრებები.

გათახსირებული „მეცნიერის" — პლეტნიოვის სადისტურმა დანაშაულებამ უაღრესად აღაშფოთა თბილისის მედმუშაკებიც.

საქართველოს მედმუშაკთა ცენტრალურ კომიტეტში, კავშირის რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა თანდასწრებით შემდგარი აქტივის კრება, გაეცნო რა სადისტ პლეტნიოვის დანაშაულობებს, დაჰგმო ამ ბილწის ბნელი საქმენი და მოითხოვა მისი სამაგალითოდ დასჯა.

— საბჭოთა ექიმების შემრცხვენელს, ჩვენი საზოგადოებრიობის სახელის გამტეხს, ბილწსა და გათახსირებულ პლეტნიოვს, — ნათქვამია აქტივის რეზოლუციაში, — ჩვენ ვაკრავთ სამარცხვინო ბოძზე და მოვითხოვთ საბჭოთა მოქალაქის ღირსების შეურაცხმყოფელის სასტიკად დასჯას.

აქტივმა დაავალა ექიმთა სექციის ბიუროს ფართოდ დაამუშაოს პლეტნიოვის დანაშაულობათა საკითხი ექიმთა სპეციალურ კრებებზე.

გადაგვარებული პლეტნიოვის საზიზღარ დანაშაულობათა განსახილველად 13 ივნისს შედგა საქ. ჯანსახკომის სამეცნიერო-კვლევითი სანიტარულ-ჰიგიენური ინსტიტუტის თანამშრომელთა საერთო კრება.

— ეს უმსგავსოება, — ნათქვამია კრებაზე მიღებულ რეზოლუციაში, — მხეცური შეურაცხყოფა საბჭოთა მოქალაქისა, ახასიათებს პლეტნიოვს, როგორც კლასობრივ მტერს, გადაგვარებულსა და გახრწნილს, რომელიც შმორის სუნით სწამლავს საბჭოთა მედიცინის ჯანსაღ ატმოსფეროს. ინსტიტუტის თანამშრომელთა კრება მოითხოვს — მოეწყოს პლეტნიოვის საჩვენებელი გასამართლება.

კიკვიძის დივიზიის გზით

ლენინგრადი (საკ. კორ.) ლენინგრადის გარნიზონის 8 მოტოციკლეტისტ-მეთაური ივლისის დამდეგს იწყებს დიდ მოტოგადარბენას ლეგენდარული კიკვიძის დივიზიის საბრძოლო გზით.

გადარბენის მანძილია 3 ათასი კილომეტრი. სტარტი მიცემული იქნება ტამბოვში, სადაც 1918 წლის მაისში კიკვიძემ ჩამოაყალიბა თავისი დივიზია. აქედან მოტოციკლეტისტები გაემართებიან სადგურებისაკენ: სიმონოვო, ელანი და კიკვიძინსკაია (ყოფილი პრეობრაჟენსკაია)—მრავალრიცხოვანი გააფთრებული ბრძოლების რაიონებისაკენ, სადაც კიკვიძელებმა დაამარცხეს გენერალ კრასნოვის თეთრგვარდიული ნაწილები.

შემდეგ გადარბენის მონაწილენი გაემართებიან სტალინგრადი—ნოვოჩერკასკი — როსტოვი — კრასნოდარი — ნოვოროსიისკისაკენ, სადაც 1920 წლის 20 მარტს პირველი შევიდა ამხ. კიკვიძის დივიზია.

მოტოგადარბენა, რომელსაც აწყობს ლენინგრადის წითელი არმიის სახლი კიროვის სახელობისა, მიძღვნილია მუშათა და გლეხთა წითელი არმიის 20 წლისთავისადმი.

საკოლმეურნეო ბაზრობაზე

„გლავშირპოტრების" თბილისის კანტორამ დახურულ და დესიმონოვის ბაზრებზე საზაფხულო ბაზრობისათვის მოაწყო სავაჭრო კარვები საკერავი მანქანებითა და მათი მოწყობილობით ვაჭრობისათვის.

გარდა საკერავი მანქანებისა, „გლავშირპოტრების" თბილისის კანტორა საკოლმეურნეო ბაზრობისათვის ღებულობს პატეფონებსა და ფირფიტებს.

○

საზაფხულო ბაზრობის გახსნასთან დაკავშირებით თბილისის ბაზრებზე ბოსტნეული ბლომად შემოდის. საბაზრო ფასები კლებულობს. 10 ივნისს ალბულაღ-მანგლისის რაიონის ასურეთის კოლმეურნეობა ერთ კილოგრამ კარტოფილს ჰყიდდა 1 მან. 60 კაპეიკად. 25-30 პროცენტით იკლო ბალისა და ალუბლის საბაზრო ფასმა.

○

26 კომუნარის სახელობის სარეწაო არტელმა თბილისის საზაფხულო საკოლმეურნეო ბაზრობისათვის მოაწყო საზაფხულო ფეხსაცმლის მასობრივი წარმოება.

არტელი ბაზრობაზე ყოველდღიურად გამოუშვებს 15-20 ათასი მანეთის საზაფხულო ფეხსაცმელს.

„გმირთა თაობა" რუსთაველის თეატრში. სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ): თედო — მსახიობი სტ. ჯაფარიძე, ელენე — თამარ ბაქრაძე, ინჟ. კახიანი — გ. სალარაძე.

„გმირთა თაობა"

რუსთაველის თეატრში

შ. ბუაჩიძე
ვ. ჩაჩიბაია

სერგო კლდიაშვილმა „გმირთა თაობით" საგრძნობლად გაამდიდრა თავისი სამწერლო პრაქტიკა. ამ ნაწარმოებით იგი გვევლინება, როგორც საზოგადოებრივად აქტუალური მხატვარი, რომელმაც ცოცხალ სახეებში ასახა მეტად მღელვარე თემა. პიესა ასახავს ბრძოლას სოციალისტური მშენებლობისათვის კოლხიდის ჭაობის ფონზე, მტკიცედ გვაჯერებს გამარჯვებაში და მოგვიწოდებს საფხიზლის გამახვილებისათვის ხალხის მტრების მიმართ. ეს იდეური არსი დამაჯერებელი ფერებით ხორცშესხმულია რუსთაველის თეატრის სცენაზე.

სპექტაკლი თავისი მხატვრული სისადავით, ადამიანურობით დიდ ემოციურობას აღწევს. ძველი მავნებლები თუ ტექნიკურად ატყუებდნენ ჩვენს ადამიანებს, ახლანდელი მავნებლები, ტროცკისტ-დივერსანტები მოკლებული იყვნენ ტექნიკურ უპირატესობას, სამაგიეროდ მათ ჰქონდათ პარტიული ბილეთი და მით მოპოვებული ნდობა, რასაც ისინი ვერაგულად იყენებდნენ. მათი ბრძოლის მეთოდი ყოვლად საზიზღარი და აღმაშფოთებელია, ისინი არ ზოგავენ არავითარ საშუალებას, რათა ზიანი მიაყენონ ძლევამოსილ სოციალისტურ მშენებლობას. ისინი მოკალათებულნი იყვნენ ჩვენი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში და ისტორიაში უნახავი თვალთმაქცობით ატყუებდნენ პარტიას. ამავე დროს უკავშირდებოდნენ ანტისაბჭოთა ელემენტების ბანდიტურ ნაშთებს. საქართველოში ტროცკისტებმა ბლოკი შეჰკრეს მენშევიკებთან და სხვა ანტისაბჭოთა პარტიების განადგურებული ნაშთების წარმომადგენლებთან და მათი საშუალებით ძირს უთხრიდნენ სოციალიზმის მშენებლობას საქართველოში.

პიესა „გმირთა თაობა" იწყება ტროცკისტის გამოაშკარავებით. ეს არის ლევანი, რომელიც მთავარი ინჟინრის მოადგილეს, მენშევიკ კახიანს უკავშირდება მავნებლური, დივერსიული დირექტივებით და გზავნის მასთან უცხოელ დივერსანტებსაც. ამის შემდეგ ლევანი არც ჩნდება პიესაში, მაგრამ მავნებელი ინჟინერი კახიანი მის ყოველ მითითებას ზედიზედ ახორციელებს. ამ მავნებლურ დირექტივათა განხორციელებით დრამატურგიული ხლართით, ბოროტმოქმედებათა აღმაშფოთებელი ფაქტების დემონსტრაციით სპექტაკლი უაღრესად მიმზიდველი და ემოციურია. პიესის დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ მაყურებელი თავიდანვე ეცნობა ძირითად ხაზს და გაფაციცებით თვალყურს ადევნებს მომქმედ პირთა მოძრაობას.

პიესის დადგმას რუსთაველის თეატრში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ეს არის, ერთის მხრივ, აქტუალური, ძლიერი პოლიტიკური ჟღერის სპექტაკლი, ხოლო მეორე მხრივ თეატრის შემოქმედებითი განვითარების გზაზე გადამწყვეტი შემობრუნება რეალიზმისაკენ. ამ სპექტაკლში უკვე არ შეიძლება ვილაპარაკოთ ძველი მეთოდის რეციდივებზე. გარეგანი მოძრაობის სანახაობითი ეფექტი, ფორმალისტური მანჭვა-გრეხვა აქ მთლიანად აღკვეთილია. სპექტაკლი მიმდინარეობს ღრმა შინაგანი დინამიურობით, მართალი და ადამიანური მიზანსცენებით მაღალ მხატვრულ ემოციურ ტონებში. აი ამიტომ თეატრის შემოქმედებით პრაქტიკაში ეს სპექტაკლი უდაოდ საეტაპო მნიშვნელობისაა და თეატრის მთელი კოლექტივის ნამდვილად დამსახურებული გამარჯვებაა.

რეჟისორი ქ. პატარიძე ამ დადგმით საკმაოდ საინტერესო შემოქმედად გვევლინება. მან ერთხელ კიდევ დაამტკიცა სპექტაკლის ორგანიზატორის კულტურა.

დ. თავაძემ კარგად შეასრულა მხატვრული გაფორმება, რომელსაც პრინციპად დაუდო ფერწერითა დეკორაციის აგება სცენაზე. განსაკუთრებით ძლიერია პირველი სურათი, სადაც კოლხიდის პეიზაჟის ფონზე ხავსით დაფარული ერთი ხის გამოტანით შექმნილია ტყის ილუზია.

ამასთანავე არ შეიძლება არ აღინიშნოს სტილის აღრევა, წმინდა რეალისტური დეკორაციების გვერდით გვხვდება კონსტრუქტივიზმის რეციდივები. მაგრამ ეს მხოლოდ ერთ სურათში, რაც უმნიშვნელოა.

მუსიკალურ გაფორმებაზე ვიტყვით, რომ შ. მშველიძის ნამუშევარი ყოველგვარი ქების ღირსია. ხალხური მოტივები, ადგილობრივი კოლორიტით დაცული, უაღრესად დამაჯერებელია და ბუნებრივი. განსაკუთრებით კარგია მესამე მოქმედების მუსიკა—დამბის გარღვევის განგაშის მომცემი. აქ ზედმიწევნით გასაგებად იხსნება მდგომარეობა —წყლის მოვარდნა, სტიქიის სუნთქვა.

კომპოზიციურად ოსტატურად შეკრულ სპექტაკლში მსახიობებიც საუკეთესოდ ანსახიერებენ თავიანთ როლებს. განსაკუთრებით ღრმა ფსიქოლოგიური და შინაგანი ბრძოლით სავსეა მშენებლობის მთავარი ინჟინრის დიმიტრის სახე, რომელსაც გულწრფელად და მაღალი მხატვრული სიმართლით ანსახიერებს რესპუბლიკის სახალხო არტისტი გიორგი დავითაშვილი. მოხდენილ დრამატურგიულ სიტუაციაში მოცემული დიმიტრის სახე იმდენად მომხიბვლელი და მიმზიდველი გახადა მსახიობმა, რომ მაყურებელი მუდამ დიდი სიყვარულით თანაუგრძნობს მას. მაშინაც, როდესაც იგი განმარტოებული რჩება და უღრმეს სულიერ ტანჯვას განიცდის, მაყურებელიც მასთან ერთად იტანჯება; მაგრამ, როდესაც ის რევოლვერის გადაგდებით დაჰგმობს თვითმკვლელობას, მაყურებელი ვერ იკავებს აღტაცებას და მხურვალე ტაშით აჯილდოვებს მას და მისი სახით გულწრფელ საბჭოთა კომუნისტ ინტელიგენტს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ პარტკომიტეტის მდივნის ისეთი ხორცშესხმული სახე, როგორიც თედოა, ჩვენს დრამატურგიაში ჯერ არ ყოფილა მოცემული. თედო მაყურებლის საყვარელი ადამიანი გახდა. მსახიობი სტეფანე ჯაფარიძე ამ მეტად რთულ სახეს ბუნებრივად და სწორად გვისურათებს.

აქტიორული ოსტატობით ბრწყინავს მიხეილ გელოვანი. მიმზიდველი ფერებით ხატავს მსახიობი სიმონის სახეს. მისი ყოველი ჟესტი და მოძრაობა გამართლებულია. მსახიობი ზედმიწევნით სწორად იძლევა ამ ყოვლად უწყინარი და გულწრფელი, ზოგჯერ გულუბრყვილო ადამიანის სახეს. სიმონი მართალი ადამიანია, ის თავის სამუშაოს კეთილსინდისიერად ასრულებს და ამავე დროს ყოფა-ცხოვრებაში მეტად მოლხენილი და ტკბილად გართულია. ლექსებსაცა სწერს, უყვარს მუსიკა, სიყვარულიც ამოძრავებს და თავისუფალ დროს თევზაობითაც ირთობს თავს. ის იმდენად კმაყოფილია ამ კარგი ცხოვრებით და გამარჯვებებით, რომ სიფხიზლის გრძნობა მთლიანად მოდუნებული აქვს. მისთვის წარმოუდგენელია, თუ ვინმე მტრობს საბჭოთა მთავრობას და ამ ბედნიერი ცხოვრების მშენებლობას. აი ეს არის მიღწევებისა და გამარჯვებებისაგან თავბრუდახვეული ადამიანი. ამ ხაზით არის მოცემული დრამატურგიულად ეს სახე და ასეც ანვითარებს მსახიობი.

ეს სახე გვაფრთხილებს, რომ „ქრისტიანული პატიოსნება" და კმაყოფილი ადამიანის უდარდელობა ობიექტურად მავნებლობას უდრის და საჭიროა მეტი სიფხიზლე, ადამიანებშიც გარკვევა. ეს აკლია სიმონს და სწორედ ეს მხარე გამოიყენა მავნებელმა.

მაყურებლისათვის თავიდან ბოლომდის გამოაშკარავებული პიროვნებაა ანდრო კახიანი, მენშევიკი, მავნებელი ინჟინერი, რომელიც მჭიდრო კავშირშია ტროცკისტ ლევანთან და მისი დირექტივებით მოქმედებს. საზიზღარი მოქმედებით ამოძრავებული მავნებელი ბოლომდე ლოგიკურად აქვს განვითარებული მსახიობ გ. სალარაძეს. მსახიობის ბუნებრივი შესრულებით აიხსნება მაყურებლის აღშფოთება და დარბაზიდან ლანძღვის რეპლიკები. მაყურებლის ასეთი სწორი რეაქცია საუკეთესო შეფასებაა მსახიობის ნამუშევრისა.

მეტად საყვარელი და მიმზიდველი ბუნების ადამიანია ექიმი ანდრონაძე მსახიობ ალ. აფხაიძის შესრულებით. ერთი წელია, რაც იგი რუსთაველის თეატრში იმყოფება და ეს პირველი პასუხსაგები როლი პირნათლად შეასრულა. მისი ექიმი მართალი და ბუნებრივი სახეა, რომელიც შეუყვარდა მაყურებელს.

მშვენივრად თამაშობს უცხოელ დივერსანტს ნიჭიერი შ. აღსაძე. მის მიერ შექმნილი სახასიათო როლები ყოველთვის მკაფიოდ გამოკვეთილია.

დამაჯერებელი სახეები შექმნეს მ. ჩიხლაძემ (ლევანი), გ. ბეჟუაშვილმა (ბონდო), დ. ხუციშვილმა (გიორგი), ზ. მახაბელმა (ახალგაზრდა კოლმეურნე).

უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელ ხანს ჩვენს დრამატურგიაში ქალების როლი შედარებით მკრთალია. ეს ნაკლი ამ პიესასაც აქვს. მიუხედავად ამისა, მსახიობი თამარ ბაქრაძე, როგორც ყოველთვის, ელენეს განსახიერებაშიც კოლორიტულია და მართალი. მსახიობი ელენეს ხატავს უაღრესად სადა და ბუნებრივი ფერებით.

გულწრფელია დიმიტრის გამზრდელის ნანას როლში მსახიობი ო. დოლიძე. ბუნებრივია ფ. ჰანტურია (ანიკო).

„გმირთა თაობა", როგორც პოლიტიკურად და მხატვრულად გამართული ნაწარმოები, ქართული დრამატურგიისა და რუსთაველის თეატრის გამარჯვებაა.

წერილი რედაქციას

პატივცემულო ამხ. რედაქტორო! ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გადავუხადო პარტიას, ხელისუფლებას, სახელმწიფო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და ყველა მშრომელს, რომელთაც ესოდენ დიდად დააფასეს ჩემი 25 წლის მოღვაწეობა და მონაწილეობა მიიღეს ჩემს საიუბილეო ზეიმში.

პატივისცემით, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახ. მოღვაწე
მარო თარხნიშვილი

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახ. პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

16 ივნისს:

აგიტაციის კაბინეტი, — კონსულტაცია თემებზე:

1) აგიტაციის ფორმები და მეთოდები რუსულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. ი. რუხაძე. დასაწყ. საღ. 8 საათზე.

2) აგიტაციის ფორმები და მეთოდები ქართულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. ი. ორჯაძე. დასაწყ. საღ. 8 ს.

○

კიროვის რაიკომის პარტკაბინეტი იუწყება, რომ 16 ივნისს საღ. 7 საათზე რაიკომის სხდომის დარბაზში რაიონის პარტაქტივისათვის მოეწყობა ბ. ულენტის მოხსენება თემაზე: „ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ".

საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომი იუწყება, რომ მის მიერ გაცემული პარტბილეთები: № 1536429 — გიორგი ზაქარიას-ძე სიხარულიძის, № 1518675 — გაბო დავითის-ძე ლაგაზიძის, № 1518523 — გიორგი ზაქარიას-ძე ესიტაშვილის, № 1518733 — არჩილ მიხეილის-ძე ისიპაშვილის და საკანდიდატო ბილეთი № 0718854 გიორგი ივანეს-ძე ომანაშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომი იუწყება, რომ მის მიერ 1936 წ. 16 ივნისს გაცემული პარტბილეთი № 1520986 —ანტონ ნიკოლოზის-ძე შენგელიას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პ.-მგ. რედაქტორის მოადგილე ა. იაკობაშვილი.

ლენინის ორდენოსანი
რუსთაველის
სახელობის თეატრის
1936/37 წლის
სეზონის დახურვა

16-VI — გმირთა თაობა

დასაწყისი 8 ს. 30 წ.

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

16-VI — იცკა რიჟინაშვილი

17-VI — სამანიშვილის დედინაცვალი

დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ.

სტომატოლოგიური ინსტიტუტის გადასამზადებელ კურსებზე დამატებით იხსნება ერთი მოკლევადიანი ჯგუფი.

მეცადინეობა დაიწყება 20 ივნისს. კრასნოგორის, 10 ან კალინინის, 7. მე-103 სკ. შენობა, 6-9 საათ. 17163

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი 7, 9, 11	ნაზარ ხტოდოლია
დამკვრელი 6-30, 8-30, 10-30	საზამ. შენ. მაქსიმეს დაბრუნება საზაფხ. შენ. აი გული
კომკავშირელი 6-30, 8-30, 10-30	საზამთ. შენ. მაქსიმეს სიჭაბუკე საზაფხ. შენ. მაქსიმეს დაბრუნება
რ. ლუქსემბ. სახ. 6-30, 8-30, 10-30	ნარინჯის ველი
26 კომ. სახ. საზამთ. 6-30 საზაფხ. 9	ხმოვანი მხატვრ. ფილმი ცამეტნი
ახალი ამბები.	„ჩრდილოეთის პოლუსი დაპყრობილია ჩვენ მიერ" ხმოვ. ჟურ. №№ 23, 24
კომინტერნი (საზაფხულო) 8-45, 10-45	ხმოვანი მხატვრ. ფილმი ცირკი
არსენა (კიროვის სახ. რაიონი) 7, 8-40, 10-20	ხმოვ. ფილმი ის დაბრუნდება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ 1937 წლის 17 ივნისს, საღ. 8 საათზე, უნივერსიტეტის კლუბში **ტრიფონ ონისიმეს-ძე რუხაძე** დაიცავს ლიტერატურის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად სადისერტაციო შრომას:

„გარდამავალი ხანის ქართული ეპოსი".

ოფიციალური ოპონენტები: პროფ. კ. კეკელიძე, პროფ. ალ. ბარამიძე.

1131 თ. ს. უ. რექტორი პროფ. კ. ორაგველიძე

თბილისის საფინანსო ეკონომიურ ტექნიკუმში
განცხადებების მიღება დაიწყო ა. წ. 1-ლი ივნისიდან.

მისაღები გამოცდები 15-დან 25 აგვისტომდე.

მიღების პირობები დაწვრილებით იხილეთ გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტში" ა. წ. 2 და 15 ივნისის ნომრებში (№№ 124 და 134).

145

თბილისის განათლების განყოფილება 16 ივნისს $8\frac{1}{2}$ საათზე აწყობს **ი. ჭავჭავაძის**

დაბადებიდან ასი წლისთავის აღსანიშნავ საღამოს

განათლების მუშაკთა სახლის საკონცერტო დარბაზში.

შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

17164 თბ. განათლების განყოფილება.

თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის საკვალიფიკაციო კომისია იუწყება,

რომ მის საჯარო სხდომებზე მოხდება დისერტაციების დაცვა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

1. 22 ივნისს, დღის 12 საათზე, ქალაქის პირველ საავადმყოფოს შინაგან სნეულებათა კლინიკის აუდიტორიაში ასისტენტი იოსებ ტიტვინიძე „თეთრი სისხლის ცვლილება დაჩირქებითი პროცესების დროს". ოფიციალური ოპონენტები — პროფ. ვ. ვორონინი და პროფ. ვ. ვარაზი.

2. 22 ივნისს, იქვე, პრივატ-დოცენტი გიორგი რუსიშვილი „ტენიარინხუს საგინატუსის ცხიმოვან ფრაქციათა ძუძუმწოვარ ორგანიზმზე გავლენის საკითხისათვის". ოფიციალური ოპონენტები—პროფ. ნ. მაჭვილაძე და პროფ. ვ. როსტომბეკოვი.

3. 23 ივნისს, დღის 12 საათზე, ქალაქის მეორე საავადმყოფოს შინაგან სნეულებათა კლინიკის აუდიტორიაში ასისტენტი ვახტანგ მურაბიშვილი „მასალები მენჯის ძვლების ტრავმული მოტეხილობის კლინიკისა და მკურნალობის შესახებ". ოფიციალური ოპონენტები—პროფ. ა. მაჭავარიანი და პროფ. მ. კოკოჩაშვილი.

მსურველთ შეუძლიათ შრომებს გაეცნონ სამედიცინო ინსტიტუტის შენობაში სწავლულ მდივანთან ყოველდღე 2—5 საათ.

თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის საკვალიფიკაციო კომისია.

1129

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღების პირობები

1937—38 სასწ. წელს.

სტუდენტთა მიღება იწარმოებს შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე.

1. **ფიზიკა - მათემატიკის ფაკულტეტი:** მათემატიკის, ფიზიკისა და მექანიკის სპეციალობებით (მეცადინეობა ქართულ და რუსულ ენებზე).
2. **ქიმიის ფაკულტეტი:** ქიმიის სპეციალობით (მეცადინეობა ქართულ ენაზე)
3. **გეოგრაფია - გეოლოგიის ფაკ.:** გეოგრაფიისა და გეოლოგიის სპეციალობებით (მეცადინეობა ქართულ ენაზე)
4. **ბიოლოგიური ფაკულტეტი:** ზოოლოგიისა და ბოტანიკის სპეციალობებით (მეცადინეობა ქართულ ენაზე)
5. **ისტორიის ფაკულტეტი:** ისტორიის სპეციალობით (მეცადინეობა ქართულ ენაზე).
6. **ფილოლოგიური ფაკულტეტი:** ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის, კავკასიური და აღმოსავლური ენებისა და ლიტერატურის სპეციალობებით (მეცადინეობა ქართულ და რუსულ ენებზე)
7. **ეკონომიური ფაკულტეტი:** სააღრიცხვო, საგეგმო, საფინანსო და საქონლისმცოდნეობის სპეციალობებით (მეცადინეობა ქართულ და რუსულ ენებზე)
8. **იურიდიული ფაკულტეტი:** იურიდიული სპეციალობით (მეცადინეობა ქართულ ენაზე)
9. **ფიზკულტურის განყოფილება:** ფიზიკური კულტურის სპეციალობით (მეცადინეობა ქართულ ენაზე).

შენიშვნა: მისაღები გამოცდები ქართულ ენაში (წერითი თხზულება, გრამატიკა და ლიტერატურა) სავალდებულოა სათანადო ფაკულტეტების ქართულ სექტორზე შემსვლელთათვის.

თბილისის სახ. უნივერსიტეტის მუშათა ფაკულტეტის 1-ლ კურსზე მსმენელების მიღება არ იწარმოებს.

განცხადებებისა და საბუთების მიღება, მათი განხილვა, გამოცდები და ჩარიცხვა იწარმოებს სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებულ უმაღლეს სკოლების კომიტეტის მიერ დამტკიცებული წესების თანახმად.

განცხადებები და საბუთები გამოგზავნილ უნდა იქნას უნივერსიტეტის რექტორის სახელზე შემდეგი მისამართით: თბილისი, მარრის ქუჩა, № 1, თბილისის სახ. უნივერსიტეტის რექტორს.

დაწვრილებითი ცნობების მიღება, უნივერსიტეტის ცნობარისა და საგამოცდო საგნებში პროგრამების შეძენა შეიძლება უნივერსიტეტის კანცელარიაში და კიოსკში (მარრის ქ., № 1).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი
1130 **ორაგველიძე.**

დაზვერვა და კონტრდაზვერვა

(გაგრძელება)

ფლოტში ყველაზე მომზადებულმა და ყველაზე ფართო დაზვერვითმა სამსახურმა.

ვიწყებთ რა მზვერავთა მოქმედებისა და სამხედრო მნიშვნელობის დაწვრილებით გადმოცემას, საჭიროა თავიდანვე განვაცხადოთ, რომ რისკი, რომელსაც მზვერავი ეწევა, მეტისმეტად გადაჭარბებული არ ხანს იმ სასიკვდილო საფრთხესთან შედარებით, რომელსაც განიცდიან თანამედროვე ომში მომქმედი ჯარები. სამხედრო კანონები მოითხოვენ იმ პირთა სიკვდილით დასჯას, რომელთაც შპიონაჟი ჰბრალდებათ, დამოუკიდებლად ეთიკური მოსაზრებებისა. ნაგულისხმევია, რომ სიკვდილით დასჯის საფრთხე გააძნელებს შესაფერი პირადი შემადგენლობის შერჩევას დაზვერვითი დავალებების შესასრულებლად. მაგრამ სინამდვილეში ეს საფრთხე ძალიან ნაკლებად აკავებდა ისეთ ადამიანებს, ვისაც მზვერავის თვისებები მოეპოვება. ესენი ჩვეულებრივად არიან საინტერესო თავგადასავლის საძიებლები. ამ ტიპის ოფიცრები, როგორც წესი, უაღრესად ნიჭიერები არიან სამხედრო საქმეებში; ამის გამო მათი მეთაურები, არ სურდათ ხიფათში ჩაეგდოთ დასაფასებელი ხელქვეითები რაიმე ისეთი წამოწყებისათვის, რომელიც სამხედრო ერთეულის ამოცანების ფარგლებს სცილდებოდა და ფრიად საშიშ ხასიათს ატარებდა, უარს ამბობდნენ იმაზე, რომ გაეშვათ ისინი მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე.

რათა პასუხი გავცეთ იმ კითხვაზე, თუ ვინ უფრო მეტ საფრთხეს განიცდის — მებრძოლი თუ მზვერავი, საჭიროა განვიხილოთ ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ეხება 1914 — 1918 წლებს, თუმცა არსად არ მოიპოვება ჩანაწერები, საიდანაც შესაძლებელი იყოს მზვერავთა რიცხვის ზუსტად გამორკვევა. ბევრ მზვერავ ოფიცერს ნება ეძლეოდა აეყვანა აგენტები და წარედგინა მათზე ცნობები საერთოდ, ანგარიში ჩაებარებინა მხოლოდ მათზე დახარჯული თანხებისათვის. როგორც არაერთხელ იუწყებოდნენ, ფრიდრიხ დიდი აცხადებდა, რომ საომარ ზონაში მას თავის განკარგულებაში ჰყავდა ერთი მზარეული და ასი მზვერავი. ფრიდრიხს მხოლოდ ერთი მზარეული ესაჭიროებოდა, ვინაიდან იგი ზომიერად სჭამდა და ხშირად ავადმყოფობდა, მაგრამ ძლიერი და თავგამოდებული მოწინააღმდეგეების გარშემორტყმულს, მას ესაჭიროებოდა გაცილებით მეტი მზვერავები და, უეჭველია, კიდევაც ჰყავდა ისინი. პრუსიის დაზვერვის მეთაური შტიბერი ფონრუნსა და მოლტკეს არწმუნებდა, რომ საფრანგეთ-პრუსიის ომის დაწყებისას მან მაკ-მაგონისა და ბაზენის არმიების ფლანგებსა და ზურგში 36.000 მზვერავი გაგზავნა. ერიდებოდა რა ამ განცხადებათა უკიდურესობებს, მაიორი შტეინჰაუერი ფიქრობდა, რომ ჩრდილო-საფრანგეთსა და ბელგიაში იმ მომენტში, როდესაც „დიდმა ბერტამ" პირველი ყუმბარა ესროლა ქ. ლიეჟს, დაახლოვებით 8.000 მზვერავი იყო.

ტერიტორიების დაკავების დროს ხშირად ხვრეტდნენ ხოლმე, როგორც ჯაშუშებს, მშვიდობიან მცხოვრებლებს მხოლოდ იმისათვის, რომ ისინი გაბოროტებით უცქერდნენ შესეულ მტერს. ზოგჯერ მთელი მათი დანაშაული იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი ინსტიქტურად უწევდნენ წინააღმდეგობას იმ დამცირებას, რომელსაც სამოქალაქო მოსახლეობა განიცდიდა. მაგრამ ბელგიისა და საფრანგეთის ოკუპირებული დეპარტამენტების მრავალრიცხოვან მცხოვრებთ სიკვდილით სჯიდნენ შპიონაჟისათვის. უსჯიდნენ მრავალი წლით საპყრობილეში დაპატიმრებას.

დაზვერვითი სამსახურის მიღწევები უმთავრესად სდგება რამდენიმე განსაკუთრებით დახელოვნებული მზვერავის მუშაობის შედეგებისაგან. ყველა დანარჩენი იძლევა შემთხვევითს ნაწყვეტ-ნაწყვეტ ცნობებს, თუმცა ამ ცნობებსაც ზოგჯერ დიდი ღირებულება აქვს. გარდა ამისა, ასეთი მზვერავები იპყრობენ მოწინააღმდეგის კონტრდაზვერვის ყურადღებას და ხდებიან, ასე ვთქვათ, კვამლის საფარი, რომელიც ჰფარავს დაზვერვის რამდენიმე გენიოსის საქმიანობას.

მსოფლიო ომის უკანასკნელ თვეებში კონტრდაზვერვა სჯობნის დაზვერვას და ფაქტიურად შეტევაზე გადადის. ბრიტანეთის სამხედრო სამინისტროს განსაკუთრებული დაზვერვითი განყოფილების ყოფილი უფროსი, ბრიგადის გენერალი გ. ი. კოკერილი, ამაყად ჩამოსთვლიდა თავის თანამშრომელთა გამარჯვებებს. კონტრდაზვერვა აკავებდა მზვერავებს, იჭერდა საზღვაო და სამხედრო ინფორმაციებს, ააშკარავებდა შეთქმულობებს და სამხედრო ქარხნებისათვის ცეცხლის წაკიდებისა და დანგრევის ცდებს, იჭერდა ცნობებს ინგლისის ნავთსადგურებიდან გემების გასვლის შესახებ და, გარდა ამისა, საგრძნობწილად უწყობდა ხელს ბლოკადას. კონტრდაზვერვა იძლეოდა ცნობას კონტრაბანდის ყველა შემთხვევის შესახებ, მან არ დაუშვა მოწინააღმდეგისათვის 70 მილიონი გირვანქა სტერლინგი ფულადი თანხების გადაგზავნა და სრულებით მოშალა ოკეანის გაღმა ქვეყნებთან მოწინააღმდეგის მიმოსვლის ყველა საშუალება.

თუ გენერალმა კოკერილმა და მისმა ენერგიულმა თანამშრომლებმა ბრიტანეთის მილიონობით დოლარები გადაარჩინეს, ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ თანამედროვე დაზვერვითი სამსახური შემდეგშიაც გაამართლებს თავის დანიშნულებას.

საიდუმლო სამსახურის ყველა არქივი უაღრესად ფარულად ინახება. ძვირფასი მასალების აღრიცხვა არ ხდება და ისინი მუდამ იღუპება უფროსთა შემადგენლობის გამოცვლისას. წიგნები საიდუმლო სამსახურის შესახებ წარმოადგენენ ტრაბახა მემუარებს („მხოლოდ მამაცთაგან უმამაცესთ აქვთ დართული ნება იმსახურონ ჩვენთან ამ სახიფათო პოსტზე!") საეჭვო მხილებებს ან ნახევრადბელეტრისტულ და მელოდრამატიულ თხრობას საიდუმლო სამსახურის რომელიმე აგენტის საიდუმლოებით მოცულ, ამაღელვებელ ამბებსა და საგმირო საქმეებზე.

მსოფლიო ომი და დაზვერვა

როგორც ომის დროს, ისე მშვიდობიან დროსაც არმიისა ან ფლოტის სადაზვერვო განყოფილებასთან მივლინებული ოფიცრის საქმიანობას მხოლოდ და მხოლოდ შეტევითი ხასიათი აქვს. მისი მიზანია დეტალურად შეისწავლოს სხვა სახელმწიფოების ფლოტები და არმიები, ვინაიდან დაზვერვა აუცილებლად დაკავშირებულია მათს განვითარებასთან.

მზვერავი ოფიცრები, რომლებიც მშვიდობიან დროს ჰკრებენ ცნობებს ამა თუ იმ ქვეყნის შეიარაღებული ძალების შესახებ, არასოდეს არ დაივიწყებენ გერმანიის მაგალითს. გერმანელები ომამდე ჰკრებდნენ ყოველგვარ ცნობებს მსოფლიოს ყველა ქვეყნის შესახებ. საზღვაო და სამხედრო ატაშეების ხელმძღვანელობით ისინი ჰკრებდნენ ყველა ცნობებს ნავსადგურებზე, მთავარ ქალაქებზე, იმ გორაკებზე, რომლებიდანაც მათ არტილერია ცეცხლს დაუშენდა, ხიდებზე და რკინიგზის ხაზებზე, გზებზე და ველებზე, თხრილებზე და არხებზე, ყველა მოხერხებულობაზე და ყველა დაბრკოლებაზე და, რასაკვირველია, ციხესიმაგრეებზე, საზღვაო ბაზებზე, მშრალ დოკებზე და არსენალებზე. ამ ცნობების მიღების შემდეგ საჭირო იყო თვალყური ედევნებინათ მათი შემდგომი ევოლუციისათვის. თუ, მაგალითად, რომელიმე ქვეყანაში გამოიგონებდნენ ახალ სწრაფმსროლ ზარბაზნებს, საჭირო იყო გადასინჯვა ყველა უცხოური ცნობისა ამ ქვემეხების გაუმჯობესების შესახებ. ამ გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, რომელიმე არსენალი შეიძლება დაძველებული აღმოჩენილიყო.

სხვა სახელმწიფოების არმიათა შტაბები აღტაცებული იყვნენ დაზვერვის გერმანული სისტემით და თვლიდნენ მას მუქარად თავისი სამშობლოსათვის.

სახელმწიფოთა უმრავლესობა მსოფლიო ომამდე დაზვერვაზე შეზღუდულ თანხებს გაიღებდა ხოლმე. მსოფლიო ომის შემდეგ ყველა დიდი სახელმწიფო განაგრძობს ერთიმეორეზე საზღვაო და სახმელეთო თავდასხმის გეგმების მზადებას და ცნობების შეკრებას ჯაშუშობის გზით.

დაზვერვის უფროსი მოვალეა მზად ჰქონდეს ყველა ცნობები მოწინააღმდეგის შესახებ მანამდე, ვიდრე ისინი საჭირო გახდება, და არავითარ ძალას არ შეუძლიან ხელი შეუშალოს მას წარუდგინოს ეს ცნობები თავის სამსახურებრივ უფროსს. ინფორმაციის შესადგენად უფროსი კითხულობს მრავალრიცხოვანი ჯაშუშებისა და საიდუმლო აგენტების მიერ მოწოდებულ ცნობებს, ადარებს ამ ცნობებს, უკეთებს ანალიზს სალი გონებისა და გამოცდილების თვალსაზრისით და ცდილობს გამოარკვიოს ჭეშმარიტება, გაცხრილოს შეცდომები და სიცრუე, რაც შეიძლება იყოს თვითეულ ცნობაში.

ამჟამად საუკეთესო სადაზვერვო განყოფილებანი უარს ამბობენ ცნობების ყიდვაზე, —ეს მოწმობს სადაზვერვო ორგანოთა მისწრაფებას მიიღონ უფრო ზუსტი ცნობები. ინგლისელებმა, ფრანგებმა, იტალიელებმა და ამერიკელებმა მწარე გამოცდილებით იციან, რომ იმისათვის, რათა დარწმუნებული იყო ინფორმაციის სისწორეში, იგი შენ თითონ უნდა მოიპოვო. ამბობენ, რომ შვეიცარიაში მსოფლიო ომის დროს არსებობდა რაღაც ბირჟისა თუ ბაზრის მაგვარი, სადაც პროფესიული ჯაშუშები ჰყიდდნენ ცნობებს იმ ქვეყნების შესახებ, რომლებსაც ემსახურებოდნენ. ყოველ მზვერავს შეეძლო ეყიდნა მათგან ყველაფერი, რაც კი მას აინტერესებდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეო — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ/მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ—2898